პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 45-ე წელი. № 217 (13302) | სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

# კომუნიკე

## სსრ კავშირში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 8-დან 11 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნიკოლაე ჩაუშესკუს მეთაურობით.

სსრ კავშირში ყოფნის დროს რუმინეთის დელეგაციის წევრები შეხვდნენ მოსკოვის, ვოლგოგრადისა და ლენინგრადის ოლქების პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, მშრომელებს.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, რუმინელ სტუმრებს ყველგან გულთბილად და გულითადად ხვდებოდნენ, რითაც გამოიხატა საბჭოთა ხალხის მეგობრობა მოძმე რუმინელი ხალხისადმი.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია შეხვდა და ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს და სსრ კავშირის სხვა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გულწრფელი და სასარგებლო ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე.

მხარეებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა და რუმინელი ხალხების ძმური მეგობრობა და საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობა მტკიცდება და წარმატებით ვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპების საფუძველზე, და ამასთანავე ზუსტად იცავენ თანასწორუფლებიანობას, პატივს სცემენ ერთმანეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, არ ერევიან ერთმანეთის საშინაო საქმეებში და ამ საფუძველზე ერთმანეთს უხამებენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს და მსოფლიო სოციალისტური სისტემის საერთო ინტერესებს.

დელეგაციებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა მათს ქვეყნებში, რა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სსრ კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

საბჭოთა მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალისტურმა რუმინეთმა წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუმინელმა ხალხმა მიაღწია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს საბჭოთა ხალხის მიღწევებს საწარმოო ძალთა ზრდისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საქმეში, ტექნიკურ პროგრესსა და მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. საბჭოთა ხალხის მიღწევები თვალსაჩინო წვლილია მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებაში, სოციალიზმისა და მშვიდობის გამარჯვების საქმეში.

ორივე მხარე აღნიშნავს, რომ ამ ბოლო წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული თანამშრომლობის დარგში. იმ კონსულტაციათა საფუძველზე, რომლებიც გაიმართა სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებს შორის ორივე ქვეყნის 1966-1970 წლების განვითარების გეგმების კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხელი მოაწერეს ოქმს ეკონომიური თანამშრომლობისა და ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესი საქონლის მიწოდების შესახებ. ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით მხარეებმა გადაწყვიტეს შექმნან საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობის შერეული სამთავრობათშორისო კომისია.

მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ დაინტერესებული არიან შემდგომ განვითარდეს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, აგრეთვე განვითარდეს თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

დელეგაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს კონტაქტები პარტიათა და სახელმწიფოთა შორის, აგრეთვე ორივე ქვეყნის მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტაქტები, რომლებიც განამტკიცებენ მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობას.

საერთაშორისო საკითხების განხილვის დროს, ნათქვამია კომუნიკეში, მხარეებმა აღნიშნეს შეხედულებათა ერთობა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შეფასებაში. ამჟამად მდგომარეობა მსოფლიოში ხასიათდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებით, რომელიც სულ უფრო მეტად განსაზღვრავს საზოგადოების მთელ განვითარებას, კოლონიური სისტემის შემდგომი დაშლის პროცესით, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების როლის გადიდებით, მუშათა კლასის ბრძოლის სოციალური პროგრესისათვის დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობით, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებით. ამასთანავე დელეგაციები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა. იმპერიალისტური ძალების ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, ყოველგვარი ზემოქმედება ხალხებზე იწვევს სახელმწიფოთა შორის დაძაბულობასა და უნდობლობას, წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საშიშროების წყაროს.

საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის დელეგაციები განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ურყევ გადაწყვეტილებას იბრძოლონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ურღვევი შეკავშირება, რომელსაც საფუძვლად უდევს სუვერენული და თანასწორუფლებიანი სოციალისტური ერების ძმური ურთიერთობა, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ძალისა და უძლეველობის მთავარი წყაროა, სისტემისა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ძალაა.

დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ იმპერიალისტური წრეების აგრესიული მოქმედების გაძლიერების გამო საჭიროა გავამახვილოთ სიფხიზლე, განუწყვეტლივ განვამტკიცებდეთ ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების, ყველა სოციალისტური ქვეყნის ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას, განვამტკიცებდეთ ანტიიმპერიალისტური ძალების, მშვიდობისა და პროგრესის ყველა მომხრეთა შეკავშირებას.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში და აგრესიას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და მოითხოვენ მათს დაუყოვნებლივ შეწყვეტას. სსრ კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა სრულ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და აცხადებენ, რომ სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიციას ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. მათ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი მიაჩნიათ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებენ, რომ დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მის ბრძოლაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოვალეობაა, და აღნიშნავენ, რომ მზად არიან კვლავაც გაუწიონ ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რაც საჭიროა აგრესიის მოსაგერიებლად.

ორივე ქვეყანა მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც იწონებს წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას განიარაღების საკითხისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო. მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ მოწვეულ იქნას სახელმწიფოთა თათბირი ატომური იარაღის მთლიანად აკრძალვისა და მოსპობის საკითხზე და, როგორც პირველი ღონისძიება, დაიდოს შეთანხმება ამ იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ისინი სავსებით უჭერენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის წინადადებას.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა მოითხოვენ შეიქმნას ევროპის უშიშროების ქმედითი სისტემა, რითაც საარსებოდ დაინტერესებულია ევროპის ყველა ხალხი. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად განახორციელონ საჭირო თავდაცვითი ღონისძიებანი, თუ ნატოს სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ მშვიდობის ინტერესების საზიანოდ და არღვევენ პოტსდამისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, დაადგებიან დასავლეთ გერმანიისათვის ატომური იარაღის ხელში ჩაგდების გეგმების განხორციელების გზას.

ორივე მხარე გადაჭრით გმობს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყოველგვარ ფორმასა და გამოვლინებას, ადასტურებს თავის სოლიდარობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. ისინი გადაჭრით გმობენ იმპერიალისტური ძალების ცდებს გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ისეთი მიზნებით, რომლებიც უცხოა ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის. ისინი მოითხოვენ აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიქცეს ნამდვილად უნივერსალურ ორგანიზაციად, რომელიც გააერთიანებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, იბრძვიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში აზიისა და აფრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების უფრო ფართო წარმომადგენლობისათვის.

საუბრის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და რუმინეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნიათ, რომ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მოქმედების ერთიანობის განმტკიცება ჩვენი დროის აუცილებელი საჭიროებაა. ორივე პარტიას მიაჩნია, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესაბამისად, რომლებიც ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის საქმიანობის საფუძველია, თვითეულ პარტიას უფლება აქვს შეიმუშაოს თავისი საკუთარი პოლიტიკური ხაზი, თავისი საქმიანობის ფორმები და მეთოდები, შემოქმედებითად გამოიყენოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში.

ორივე დელეგაცია კვლავ ადასტურებს პარტიათა შორის ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, რომლის თანახმად თვითეულ პარტიას უფლება აქვს და შეუძლია კიდეც გამოთქვას თავისი აზრი თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებზე და, ამგვარად, შეიტანოს თავისი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო საგანძურის გამდიდრებაში.

ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის ანალიზი და დაძლევა უნდა მოხდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, პრინციპულად, ამხანაგურად, მოთმინებითა და ბეჯითად, ყოველი ღონე უნდა იხმარონ დაახლოებისა და ურთიერთგაგებისათვის, ერთიანობის მისაღწევად. ორივე დელეგაციას მიაჩნია, რომ აზრთა სხვადასხვაობამ, რომელიც წარმოიშობა თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ან საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, არ უნდა იმოქმედოს სოციალისტური სისტემის ქვეყნების ამხანაგურ, ინტერნაციონალურ ურთიერთობაზე.

მოძმე პარტიათა შეხვედრები და კონტაქტები, თეორიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა განხილვა ურთიერთპატივისცემისა და ნდობის სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე რეალური საფუძველი იქნება კომუნისტურ მოძრაობაში სიძნელეთა დასაძლევად.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ კვლავაც უნდა განავითარონ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ერთმანეთისათვის გაცნობა დელეგაციების გამგზავრების მოწყობის, საინფორმაციო მასალების გაცვლის გზით. ისინი შეთანხმდნენ ფართოდ გამოიყენონ პარტიათა თანამშრომლობის ისეთი ფორმები, როგორიც არის ორივე პარტიის წარმომადგენელთა კონსულტაციები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე, კვლავაც განავითარონ და გააღრმავონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა.

დასასრულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და რუმინეთის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობანი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურღვევი მეგობრობისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი და გამართული მოლაპარაკება სასარგებლო წვლილია სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ეს მიწვევა მადლობით იქნა მიღებული. ვიზიტის დრო დამატებით იქნება შეთანხმებული.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა; რუმინეთის მხრივ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იონ გეორგე მაურერმა.

# წალენჯიხელ მეჩაიეთა გამარჯვება

## მათ თავი ისახელეს



[illegible]



## გეგმის გადამეტებით იქნება 1.000 ტონა

საუბარი საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივან ამხ. ვ. კვარაცხელიასთან.

[illegible] — განაცხადა „კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. კვარაცხელიამ. — მათ 13 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 11.360 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 11.350 ტონისა. მთელი მოკრეფილი ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მოპოვებული წარმატება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, ყველა მეჩაიის თავდადებული შრომის შედეგია. პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დროულად დასახეს ყველა ღონისძიება ჩაის კრეფის სეზონისათვის მოსამზადებლად.

წლიური გეგმის შესრულებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს საჩინოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში" (თავმჯდომარე ლ. ჯანტურია, პარტბიუროს მდივანი შ. აბრალავა).

შრომის კარგმა ორგანიზაციამ, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის სწორად დაყენებამ და დიფერენცირებულმა ანაზღაურებამ უზრუნველყო ობუჯის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. მებონია, პარტბიუროს მდივანი ნ. მებონია) შეჩაიეთა წარმატება. კოლმეურნეობამ 4 სექტემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა, მოკრიფა და ფაბრიკას ჩააბარა 587 ტონა ფოთოლი. ახლა ობუჯელები ვალდებულების [illegible] ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ა. კვარაცხელია, პარტიული კომიტეტის მდივანი ტ. თვალთვაძე), რომელსაც წელს 2.500 ტონა უნდა მოეკრიფა. ყინვებმა სხვაზე მეტად საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები დააზიანა. დირექციისა და პარტიული კომიტეტის უნარიანი ხელმძღვანელობით მდგომარეობა გამოსწორდა. აქ ორ დღეში შეასრულებენ ჩაის კრეფის წლიურ გეგმას და კიდევ მოკრეფენ 200 ტონა „მწვანე ოქროს".

წარმატებები მოიპოვეს სოფელ მიქავას უ. მიქავას სახელობის, წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის, ჯვარის გეგეჭკორის სახელობის, ფახულანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებმა. რაიონის 20 კოლმეურნეობიდან 10 კოლმეურნეობა ვალდებულების ანგარიშში კრეფს ჩაის ფოთოლს.

ივნისში გვალვებმა განაპირობა ჩაის დაბალი ხარისხი. ფაბრიკებს ჩამორჩენა ჰქონდათ სახელმწიფო სტანდარტების დაცვაში. ივლის-აგვისტოში ეს მდგომარეობა მთლიანად გამოსწორდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთიანი რაიონის პირობებში საგრძნობლად აცივდა, რამაც ჩაის ფოთლის შემოსვლა შეაფერხა, ერთხელ კიდევ გადავხედეთ ადრე ნაკისრ ვალდებულებას და გადავწყვიტეთ მისი გაორკეცება. სამშობლო წალენჯიხელი მეჩაიეებისაგან გეგმის გადამეტებით მიიღებს 1.000 ტონა „მწვანე ოქროს".

## საჩინოელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

[illegible]

## წარმატებებს უსურვებენ არაბული ქვეყნების თათბირს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავ- [illegible] ხელით.

ჩვენ, ნათქვამია წერილში, არაბული ქვეყნების ხალხები მიგვაჩნია ბუნებრივ მოკავშირეებად მთელი იმ ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლაში, რომლებიც იბრძვიან უცხოეთის ბატონობის სრული ლიკვიდაციისათვის, ხალხთა მისწრაფებების განხორციელებისა და დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა წარმატება უსურვა არაბული სახელმწიფოების საპატიო წარმომადგენელთა თათბირს. (საქდესი).

## ა. ნ. კოსიგინის პასუხი

[illegible]

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა გამოუგზავნა წერილი, რო- [illegible]

მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათ მიზნად არა აქვთ დასახული „დანაშაულის ტვირთი დააკისრონ ერთმანეთთან მებრძოლ ჯგუფებს" და მოუწოდებენ ყველა დაინტერესებულ მთავრობასა და მხარეს განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი ცეცხლის შეწყვეტისა და ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მოლაპარაკების საფუძველზე.

ამ დღეებში პოლინგს გაეგზავნა პასუხი, რომლის ტექსტიც ქვემოთ მოგვყავს:

„პატივცემულო ბატონო პოლინგ,

[illegible] მოტივები, რომლებმაც აიძულა მიმართვის ავტორები გამოექვეყნებინათ მოწოდება, რომ ბოლო მოეღოს არაადამიანურ ომს ვიეტნამში.

მაგრამ, მცდარი და სავსებით გაუმართლებელი იქნებოდა გაგვეთანაბრებინა აგრესორი და აგრესიის მსხვერპლი. იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ბოროტება, უნდა აღმოვფხვრათ მისი წარმოშობის მიზეზები. ხოლო ახლანდელი კონფლიქტის არსი — ეს კი მთელი მსოფლიოსათვის ნათელია — ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარა აგრესიას ახორციელებენ პატარა ქვეყნის ვიეტნამის წინააღმდეგ, რომლის ხალხი იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, წმინდათა-წმინდა უფლებას თვითონ განაგებდეს თავის ბედს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეთა აქტიური მოქმედებისათვის არის კარგი, სამართლიანი საფუძველი. მშვიდობა ვიეტნამში დამყარდება იმ გზით, თუ დაცულ იქნება ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ შეწყვეტენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსულ დაბომბვას და აღარ ჩაერევიან სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში.

პატივისცემით

ა. კოსიგინი".

## დღეის იპოდრომზე სეზონი გაიხსნა

[illegible] და სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილი ქარივით მარდი ცხენები.

რეკავს ზარი. წრეში იწვევენ გაზეთ „სოფლის ცხოვრების" პრიზზე შეჯიბრებაში პირველი გარბენის მონაწილეებს. ამ საინტერესო შეჯიბრებაში 2 წუთსა და 0,5 წამში ფინიშზე პირველი მივიდა ი. სულეიმანოვი ცხენ „ბისით".

გაზეთ „ლელოს" პრიზზე მეორე გარბენაში გაიმარჯვა ვ. ფეტისოვმა (ცხენი „გრაცია").

ყველაზე საინტერესო იყო მესამე გარბენა სამწლიანი ულაყებისა და ფაშატებისა სეზონის გახსნის პრიზზე. გამარჯვებული გამოვიდა ა. ზამანოვი ცხენ „ზნამენკათი".

მესამე დოღს შემდეგ დაიწყო ჩორთითმავალი ცხენების გამოცდა. აქ პირველ გარბენაში გამარჯვება წილად ხვდა ირინე პურგინა-ამილახვარს, რომელმაც გაუსწრო გარბენის მონაწილე ყველა მამაკაცს.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე საჩვენებელმა გამოსვლებმა დაბრკოლებათა გადალახვაში, რაშიც პირველი და მეორე ადგილი გაინაწილეს მ. ბოლქვაძემ და კ. ბაშიბოიაზოვმა.

შეჯიბრებაში სხვა პრიზებიც გათამაშდა.

ცხენოსნობაში შეჯიბრების სეზონის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჯანუშვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. ნ. მამონტოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბაზაფხულო ხორბლის სელექციასა და მეთესლეობაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ-აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს ამხ. ვალენტინა ნიკოლოზის ასულ მამონტოვას მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წ. 13 სექტემბერი.

# საქდესის განცხადება

მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტი ფართოვდება. საომარი მოქმედება, რომლებიც ქაშმირში დაიწყო, მოედო ახალ რაიონებს. ორივე მხარე სულ უფრო მეტ ჯარს იყენებს საომარ ოპერაციებში. ძლიერდება ავიაციის თავდასხმები, ამასთან თავს ესხმიან არა მარტო საომარი მოქმედების ზონებში მდებარე პუნქტებს, არამედ ორივე სახელმწიფოს ტერიტორიის სიღრმეში მდებარე ქალაქებსაც, მათ შორის მათს დედაქალაქებს. ზურგში გადაჰყავთ საჰაერო დესანტები. ოპერაციებში უკვე ჩაებნენ სამხედრო-საზღვაო ძალებიც.

ინდოეთისა და პაკისტანის საომარი მოქმედების გაფართოება, ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიასთან ერთად, კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, საყოველთაო მშვიდობას. ამიტომ გასაგებია, რომ არა მარტო კონფლიქტის რაიონის მახლობლად მდებარე, არამედ აგრეთვე სხვა კონტინენტებზე მდებარე ბევრი სახელმწიფოს მთავრობები კანონიერად შეშფოთებული არიან და მოუწოდებენ ორივე მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ შეიარაღებული შეტაკება და მოაწესრიგონ კონფლიქტი მშვიდობიანი საშუალებებით. ამ მიმართულებით უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ძალღონეს არ იშურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანიც. სულ უფრო მტკიცედ გაისმის მოთხოვნა, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ღონისძიებანი, რომ ბოლო მოეღოს სისხლისღვრას, ჩაქრეს ომის კერა აზიის ამ რაიონში, აღდგენილ იქნას მშვიდობა, რომელიც ესოდენ ესაჭიროებათ ინდოელ და პაკისტანელ ხალხებს შემოქმედებითი შრომისათვის.

მაგრამ არიან ისეთი ძალებიც, რომლებიც ცდილობენ სარგებლობა მიიღონ ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის გამწვავებით. თავიანთი წამქეზებლური გამოსვლებით ისინი ხელს უწყობენ სამხედრო კონფლიქტის შემდგომ გაღვივებას. მაგრამ მოვლენათა ასეთ განვითარებას შეუძლია მხოლოდ გააუარესოს მდგომარეობა და კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ხანძრად გადააქციოს ახლანდელი ამბები. თუ საქმე ამ მიმართულებით განვითარდა, კონფლიქტში ზედიზედ ჩათრეული აღმოჩნდება ბევრი სახელმწიფო. ეს საშიში პერსპექტივაა. ამას, როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგები. ამასთან არა მარტო იმ რაიონის ხალხებისათვის, სადაც კონფლიქტი დაიწყო, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

მოვლენათა ასეთი მსვლელობა, უეჭველია, ხელსაყრელი არ არის ინდოეთისა და პაკისტანის ხალხებისათვის, მთელი აზიის ხალხებისათვის და როგორც უნდა შეფასდეს ინდოეთსა და პაკისტანს შორის საომარი მოქმედების წარმოშობის მიზეზი, ერთი რამ ნათელია: საომარი მოქმედების შემდგომი გაფართოებით მოიგებენ მხოლოდ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები, მხოლოდ ისინი, ვისაც სურს კვლავ დაადგას კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის უღელი განთავისუფლებულ ხალხებს. უკვე ახლა ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს ინდოეთისა და პაკისტანის სამხედრო შეტაკება გამოიყენოს იმისათვის, რომ ხალხთა ყურადღება ჩამოაცილოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც სერიოზულად შეშფოთებულია მოვლენათა განვითარებით, კვლავ მოუწოდებს ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს გამოიჩინონ კეთილგონიერება და განახორციელონ ღონისძიებანი საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის. არავინ არ უარყოფს, რომ მაშინ, როცა ილვრება სისხლი, ინგრევა ქალაქები და სოფლები, მწვავდება საომარი ისტერია, უფრო ძნელია გამოინახოს იმ პრობლემების ორივე მხრისთვის მისაღები გადაჭრის გზა, რომლებიც ორივე სახელმწიფოს შორის არსებობს. კონფლიქტის გაფართოება გარდუვალად წარმოშობს ახალ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება უფრო ძნელი გადასაჭრელი გახდეს.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობები, იხელმძღვანელებენ მშვიდობის ინტერესებით, დაუყოვნებლივ შეწყვეტენ საომარ მოქმედებას და გაიყვანენ თავიანთ ჯარებს ცეცხლის შეწყვეტის იმ ხაზს იქით, რომელიც 1949 წლის შეთანხმებით არის დადგენილი, დააბრუნებენ ჯარებს იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებოდნენ საომარი მოქმედების დაწყებამდე. არ არის კონფლიქტის მოწესრიგების სხვა შესაძლებლობა, გარდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისა. საბჭოთა მთავრობა, როგორც აღნიშნული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილებში, რომლებიც ინდოეთის პრემიერ-მინისტრსა და პაკისტანის პრეზიდენტს გაუგზავნა მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, მზად არის ამ საქმეში გაუწიოს კეთილი სამსახური, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მხარე ამას ისურვებს.

კონფლიქტის მოწესრიგება უწინარეს ყოვლისა ინდოეთისა და პაკისტანის საქმეა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებზეც.

უნდა შევიგნოთ ის დიდი საშიშროება, რომელსაც შეიცავს ეს მოვლენები, გამოვიჩინოთ თავშეკავება და პასუხისმგებლობის გრძნობა. ყველა სახელმწიფომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ჩაქრეს კონფლიქტი, შეჩერდეს სისხლისღვრა. ისინი კი, ვინც თავიანთი წამქეზებლური განცხადებებით, თავიანთი პოლიტიკით ხელს უწყობენ კონფლიქტის გაჩაღებას, მთელმა მსოფლიომ, ყველა სახელმწიფომ უნდა გააფრთხილოს, რომ ამით მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობენ ასეთი პოლიტიკისათვის, ასეთი მოქმედებისათვის. არც ერთ მთავრობას უფლება არა აქვს ცეცხლზე ნავთი ასხამდეს. უნდა შევაჩეროთ მოვლენათა საშიში განვითარება. უნდა გაიმარჯვოს მშვიდობამ ინდოეთისა და პაკისტანის საზღვრებზე.

## პარტიული ცხოვრება

### საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

# მომხსენებელს გამორჩა მთავარი...

**სასოფლო** კლუბის წინ, სადაც საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო დანიშნული, კომუნისტებს მოეყარათ თავი და სოფლის ავ-კარგზე ბჭობდნენ.

— კრილოვის არაკისა არ იყოს, — თქვა ერთმა. — სწორედ ისეა ახლა საქმე ჩვენს კოლმეურნეობაში. ყველა თავის ღვედს იქაჩება, საერთო საქმე კი ადგილიდან არ იძვრის.

— მართლაც რას ჰგავს ეს, თავის დამზადებაზე მთელ კოლმეურნეობაში ოციოდე კაცი თუ მუშაობს.

— დღეს-ხვალ ყანებიც გაიპრება...! მდგომარეობა თუ ასე გაგრძელდა, ვერც პირუტყვისათვის საკმარის საკვებს დავაგროვებთ და ვერც მოსავალს დავაბინავებთ.

— მერე და ზურგს უკან ლაპარაკი საქმეს რას შველის, ადექით და კრებაზე თქვით ყველაფერი.

— რატომაც არ ვიტყვით, ვისი უნდა მოგვერიდოს!

— მარტო თქმა რას გვიშველის, განა სოფლის მესვეურნი თავიანთი თვალით ვერ ხედავენ რა ხდება? საქმეს სერიოზულად უნდა მიდგომა, მას გულმხურვალედ უნდა მოეკიდო!

აი როგორი განწყობილებით მოვიდნენ საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ახალქალაქის რაიონის სოფელ გოკიოს სასოფლო-სამეურნეო არტელის კომუნისტები.

პარტბიუროს მდივნის ს. მაზმანიანის ვრცელი და ზოგადი მოხსენებამ კომუნისტები ვერ დააკმაყოფილა. ან კი როგორ შეიძლებოდა დაეკმაყოფილებინა, როცა მოხსენებაში გვერდი ჰქონდა ავლილი პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, არაფერი არ იყო ნათქვამი კომუნისტთა ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე.

მართალია, კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით წელს ერთგვარ წარმატებას მიაღწია მეცხოველეობაში — პირუტყვის სულადობის გეგმები შეასრულა, ძროხების წველადობა აამაღლა და სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება ვადამდე შეასრულა, მაგრამ არტელი საგრძნობლად ჩამორჩება მემინდვრეობაში.

კოლმეურნეობაში დაბალ დონეზეა შრომის დისციპლინა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრების დღეს 220 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან თივის აღებაზე მხოლოდ 20-25 კაცი მუშაობდა. დანარჩენებიდან ნაწილი სოფელგარე სამუშაოზე წასულიყო, ნაწილი კი — ადგილზე პირადი საქმით იყო გართული. სამწუხაროდ, მათში კომუნისტებიც ერივნენ.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციის 22 წევრიდან მარტო ხუთი მუშაობდა მატერიალური წარმოების სფეროში.

წარმოების ყველა უბანზე არ იგრძნობოდა სოფლის კომუნისტთა აქტივობა და ავანგარდული როლი. ფორმალიზმის ტყვეობაში იყო სოციალისტური შეჯიბრება, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოწინავეთა გამოცდილებას. ჩაშლის პირამდე მივიდა შრომის ორგანიზაცია საკვების დამზადების დღეებში. სწორედ ამიტომ სექტემბრის დასაწყისისათვის კოლმეურნეობაში ჩადებული იყო 40 ტონა სილოსი 300 ტონის ნაცვლად, მეოთხედითაც არ იყო შესრულებული თივის დაგროვების გეგმა.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის მზად არ იყვნენ. კომბაინი, მექანიზებული სათიბები და ავტოტრანსპორტი წესრიგზე არ ჰქონდათ მოყვანილი.

როგორც კომუნისტთა გამოსვლებიდან გამოირკვა, პარტბიურო თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა. იგი სათავეში ვერ ჩაუდგა მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ვერ წარმართა მათი ძალები საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის მისაღწევად.

სიტყვით გამოსულმა კომუნისტმა ს. კაროიანმა თქვა: იმის გამო, რომ პარტბიურო დადგენილებების შესრულების შემოწმებას ყურადღებას არ აქცევდა, ბევრი კარგი გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა. ამიტომაც იყო, რომ კომუნისტები ბოლო ხანებში ნაკლოვანებებს ურიგდებოდნენ და ერთმანეთის არწყნინების გზას დაადგნენ.

კომუნისტებმა გ. ეროიანმა, ო. აბაჯიანმა, ქ. ვოსკანიანმა, შ. პონიშვილმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ რამდენჯერმე განიხილა მეცხოველეობის ფერმების კადრებით განმტკიცების საკითხი, მაგრამ რადგანაც გადაწყვეტილებანი პრაქტიკული საქმეებით ვერ განამტკიცეს, დიდი ნაკლოვანებები ჰქონდათ პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზაციაში. ამის შედეგად დაიხოცა 26 სული მსხვილფეხა და 81 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ვ. ტონაგანიანმა თქვა — ჩვენმა პარტბიურომ კარგა ხანია დაივიწყა კომკავშირული ორგანიზაცია. ამიტომ ამ უკანასკნელის მუშაობა ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. კომუნისტების შენიშვნებმა ასახვა ჰპოვეს მიღებულ დადგენილებაში, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ახლად არჩეულმა პარტიული ორგანიზაციის ბიურომ.

**ა. მელქონიანი,**
**შ. მაისურაძე.**

# დეპუტატები ასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამეურნეო, ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელსაც ძირითადად ახორციელებენ ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი მუდმივი კომისიები. გალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს სკკპ პროგრამიდან გამომდინარე ამოცანები მუდმივი კომისიების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ.

გალის რაიონული საბჭოს დეპუტატებმა — საკოლმეურნეო სოფლების საუკეთესო წარმომადგენლებმა — პირველ სესიაზე აირჩიეს აღმასკომის შემადგენლობა, მუდმივი კომისიები და საქმეს შეუდგნენ.

რაიონული საბჭოს პირველ სესიაზე განიხილეს აგრეთვე რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი.

დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

რაისაბჭოს მეორე სესიაზე განვიხილეთ საკითხი რაიონის სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში სერიოზული ნაკლოვანებებია. საუბნო საავადმყოფოებს ექიმები აკლიათ, ზოგიერთი მათგანი შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული. გაუმჯობესებას მოითხოვს სამედიცინო კადრების აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, სუსტად არის დაყენებული როგორც ქალაქის, ისე სოფლის საავადმყოფოების სამედიცინო საქმიანობა.

ავარიულ მდგომარეობაშია რაიონის სამშობიარო სახლის შენობა. სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ კვების პროდუქტებით საბავშვო ბაღებსა და საავადმყოფოებს. რაიონის ზოგ საექიმო უბანში სუსტად ეწყობა სადეზინფექციო სამუშაოები. აღნიშნულ საკითხზე დეპუტატებმა კონკრეტული ღონისძიებები დასახეს და შეუდგნენ მათ პრაქტიკულად განხორციელებას.

გალის რაიონი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი რაიონია აფხაზეთში. წელს გალელმა მეჩაიეებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 16.540 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც გეგმას თითქმის 500 ტონით აღემატება.

ამ ლაშქრობაში დიდი წვლილი მიუძღვით რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატებს. მათი ინიციატივით ის კოლმეურნეობები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე სეზონისათვის შედარებით ცუდად ემზადებოდნენ, ახლა მოწინავეთა რიგებში დგანან.

სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც რაიონული საბჭოს დეპუტატი შ. გამსახურდია ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

დიხაზურგელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ გეგმის ზევით მოკრეფენ 20 ტონა ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს და ჩაის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე 4 ტონამდე აიყვანენ.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც რაისაბჭოს დეპუტატები კ. კიკორია, მ. გერგედავა, მ. ალავიძე, კ. ელიავა ხელმძღვანელობენ, ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან.

ვინ არ იცნობს აფხაზეთის ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატებს გალის რაისაბჭოს დეპუტატებს ლული ზუხუბაიას, თამარ შონიას, ციალა გაბისონიას, მატრონა ლეონტიევას, თინათინ გოგოხიას, ალექსანდრა მიქავას, რომელთა თაოსნობით დაიწყო წელს პლანტაციებში სოციალისტური შეჯიბრება შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. თვითეული მათგანი იბრძვის 6-8 ტონა ჩაის მწვანე ფოთლისათვის. მათ მიმდევრებიც ბევრი ჰყავთ.

იფურჩქნება და წინ მიდის სოფლის კულტურული ცხოვრება. რაიონში არის 65 კლუბი და ბიბლიოთეკა, 16 საავადმყოფო და საექიმო პუნქტი, 39 საფერშლო-საბებიო პუნქტი, 72 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა.

რაიონული, სასოფლო და საქალაქო საბჭოების მუდმივი კომისიების ინიციატივით საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და კულტურის, ვაჭრობის, საზკვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები.

განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიამ, რომელსაც დეპუტატი ვ. გაბისონია ხელმძღვანელობს, აღმასკომის სხდომაზე დროულად დასვა საკითხი სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ. ყურადღება გამახვილებულ იქნა ნაკლოვანებებზე. დეპუტატთა ინიციატივით გაწეულია დიდი მუშაობა სკოლების კეთილმოწყობილი შენობებით უზრუნველყოფისათვის, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და ეზოების გამწვანებისათვის.

ასევე კარგად მუშაობენ გალის საქალაქო საბჭოს განათლების, ვაჭრობისა და საზკვების, საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები.

ადგილობრივი საბჭოს ყველა აღმასკომი აწარმოებს ამომრჩეველთა კრებებზე მიღებული განაწესის აღრიცხვას, აჯგუფებს მათ დარგების მიხედვით და შემდეგ დაინტერესებული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით ადგენს მათი განხორციელების კონკრეტულ გეგმას, სადაც ნაჩვენებია შესრულების ვადა, შემსრულებელი ორგანიზაცია ან პირის დასახელება.

განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული ამომრჩეველთა განაწესის შესრულება გალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, დიხაზურგის, ნაბაკევისა და აჩიგვარის სასოფლო საბჭოებში.

ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად იცვალა სახე ჩვენმა რაიონმა, დამშვენდა ქალაქის ცენტრი, დაირგო დეკორაციული და მარადმწვანე მცენარეები.

რაისაბჭოს დეპუტატ ა. გაბელაიას ინიციატივით მდინარე იჯილორეზე აიგო რკინაბეტონის საცალფეხო ხიდი.

ასევე გულისხმიერად ეკიდება ამომრჩეველთა მოთხოვნებს დეპუტატი დ. ლარინი. მისი თაოსნობით მოსკოვის ქუჩაზე აშენდა სავაჭრო ფარდული.

სოფელ ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაისაბჭოს დეპუტატი კ. კიკორია სათავეში ჩაუდგა სოფელში მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის აშენების საქმეს და წარმატებითაც დააგვირგვინა. რაისაბჭოს დეპუტატის სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. გამსახურდიას თაოსნობით მიმდინარეობს სოფლის საშუალო სკოლისათვის ორსართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობა.

დეპუტატები ამჟამად დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს.

სოფელ წარჩის ამომრჩეველთა განაწესის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა მდინარე ოქუმზე ახალი ხიდის მშენებლობის დაჩქარებას. დეპუტატმა ა. თორიამ ხალხის თხოვნა შეასრულა. რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით გამოინახა საჭირო თანხა, სამშენებლო მასალა და ამჟამად სოფელს ახალი ხიდი ამშვენებს.

რაიონული საბჭოს დეპუტატ მ. გერგედავას ზრუნვით გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა. დეპუტატ კ. ელიავას ინიციატივით მოასფალტებულ იქნა სოფელ მუხურის გზა.

ასეთია გალის რაიონული საბჭოს დეპუტატების პირველი ნაბიჯები. ასე ასრულებენ ისინი ამომრჩეველთა განაწესს.

**ა. ძაძუა,**
გალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

## პარტიული ქრონიკა

### საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პლენუმი

**გუდაუთა.** (საქ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. ო. კობახია საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ს. ნ. ალანია.



**პროდუქციის** მაღალი ხარისხისათვის ზრუნვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივის პირველი რიგის ამოცანად იქცა. შეწყდა რეკლამაციების ნაკადი, რასაც წინა წლებში ხშირად იღებდა კომბინატი. ახლა აქაურ ქსოვილზე გაზრდილია მოთხოვნილება. კომბინატში ბევრია ისეთი მქსოველი, რომელიც მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას ამზადებს. მათ შორის არიან საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის მქსოველთა ბრიგადის წევრები (სურათზე მარცხნიდან) მ. ბერიანიძე, ა. ნადირაძე, მ. ასტაშკინა და ე. სესიაშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

#### ამხ. ვ. გ. მამათელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე **მამათელაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 18 სექტემბერი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

#### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**„საქართველოს** სსრ ატლასის" მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენისა და გამოცემისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ასლანიკაშვილი** ალექსანდრე თევდორეს-ძე — „საქართველოს სსრ ატლასის" პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორის მოადგილე.
2. **დავითაია** თეოფანე ფარნას-ძე — „საქართველოს სსრ ატლასის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.
3. **სამადბეგოვი** ალექსანდრე ყარამანის-ძე — „საქართველოს სსრ ატლასის" ბეჭდვის ხელმძღვანელი.
4. **ჯავახიშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — „საქართველოს სსრ ატლასის" პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 18 სექტემბერი.

## საპატიო სიგელი მშენებლებს

პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, 1965 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელით დააჯილდოვა ბორჯომის კურორტების მართვის საბჭოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი.

(საქინფორმი).

# ფუტკარი — მშვიდობის ელჩი

### ○ ქართულ ფუტკარს დიდი ოქროს მედალი ○

**მ**ეფუტკრეობის გაერთიანების საერთაშორისო ფედერაცია „აპიმონდია" შეიქმნა 1897 წელს ინგლისის, საფრანგეთისა და შვეიცარიის მეფუტკრეების ინიციატივით. სახელწოდება „აპიმონდია" შედგება ორი სიტყვისაგან: აპის — ფუტკარი და მონდ — მსოფლიო. ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს ის, რომ ზემოქმედება მოახდინოს მეფუტკრეობის შემდგომ განვითარებაზე. ამ ამოცანის შესასრულებლად „აპიმონდია" კრებს ინფორმაციას ცალკეულ ქვეყნებში მეფუტკრეობის განვითარების დონის შესახებ, კავშირს ამყარებს მონათესავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქმნის კომისიებს მეფუტკრეობის სპეციალურ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას, ყოველწლიურად აწყობს მეფუტკრეობის კვირეულს და 2-3 წელიწადში ერთხელ იწვევს საერთაშორისო კონგრესებს. უკანასკნელ წლებში კონგრესები გაიმართა ავსტრიაში, ინგლისში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთში, იტალიაში, კანადაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთში.

1954 წლიდან საბჭოთა კავშირი „აპიმონდიის" წევრია და მონაწილეობს მეფუტკრეობის მსოფლიო კონგრესებში. იმ წელს კოპენჰაგენში გამართულ XV კონგრესზე საბჭოთა კავშირიდან არ ყოფილა არც ერთი მოხსენება. 1956 წელს ვენის კონგრესზე ჩვენი ქვეყანა წარდგენილი იყო 9 მოხსენებით, 1958 წელს XVII კონგრესზე რომში — 27 მოხსენებით, 1961 წელს XVIII კონგრესზე მადრიდში — 29, 1963 წელს XIX კონგრესზე პრაღაში — 38 მოხსენებით, ხოლო წელს ბუქარესტის XX საიუბილეო კონგრესზე საბჭოთა კავშირმა წარადგინა 48 მოხსენება.

XV მსოფლიო კონგრესიდან დაწყებული ყველა კონგრესზე მონაწილეობდა 2 საბჭოთა სპეციალისტი ოფიციალური დელეგატის უფლებებით და სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი 12-25 კაცის შემადგენლობით.



უკანასკნელ XX საიუბილეო კონგრესზე ბუქარესტში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდა 100-მდე სპეციალისტი, რომელთაგან 3 კონგრესის ოფიციალური დელეგატი იყო, 20 კი მეფუტკრე სპეციალისტი.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია 25 აგვისტოს მატარებლით ჩავიდა მოსკოვიდან ბუქარესტში. დავბინავდით შესანიშნავად მოწყობილ ახალ სასტუმრო „ნორდში". კონგრესის მუშაობა გათვალისწინებული იყო ბუქარესტის ცენტრში ახლად აგებულ შესანიშნავ შენობაში, რუმინეთის ეროვნულ სასახლეში, რომლის თავზე ფრიალებდა კონგრესში მონაწილე 48 ქვეყნის დროშები.

26 აგვისტოს დილიდანვე შენობის ფართო ფოიე სავსე იყო კონგრესის მონაწილეებით. გაიმართა ცოცხალი და საინტერესო საუბრები. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ეხმარებოდნენ სპეციალურად გამოყოფილი თარჯიმნები და „მოხალისე" მეფუტკრე სპეციალისტები, რომლებიც კარგად ფლობდნენ უცხო ენებს.

დარბაზი, სადაც კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა, რადიოფიცირებული იყო, თვითეულ დელეგატს შეეძლო სპეციალური ყურსასმენების მეშვეობით მოესმინა მოხსენება, თარგმნილი კონგრესის ხუთ სამუშაო ენაზე — რუმინულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე (რუსული ენა კონგრესის სამუშაო ენად მიღებულ იქნა 1963 წელს პრაღის XIX კონგრესზე).

შემდეგ სიტყვას იღებს მსოფლიო XIX კონგრესის თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დოქტორი იაროსლავ სვობოდა. იგი XX საიუბილეო კონგრესის თავმჯდომარეს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეფუტკრეობის ასოციაციის თავმჯდომარეს, პროფესორ ვიაჩესლავ ხარნაჟის ყელზე ჰკიდებს „აპიმონდიის" უმაღლეს განმასხვავებელ ემბლემას — ოქროს მედალს ფუტკრის გამოსახულებით. ფართო ლენტზე, რომელზეც დამაგრებულია „აპიმონდიის" ემბლემა — ოქროს მედალი, წარწერილია თარიღები და ქვეყნების სახელწოდებანი, სადაც გაიმართა ყველა წინა კონგრესი.

სიტყვა წარმოთქვა XX კონგრესის თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. ხარნაჟიმ. იგი მადლობას უძღვნის კონგრესის პრეზიდიუმს ამ დიდი ნდობის გამოცხადებისათვის და სიტყვას აძლევს კონგრესის მონაწილეებს, რომ მტკიცედ დაიცავს „აპიმონდიის" წესდებას შემდგომი მუშაობის პერიოდში. შემდეგ პროფესორმა განაცხადა, რომ მეფუტკრეობის კონგრესი მეფუტკრეთა უბრალო შეხვედრის ადგილი კი არ უნდა იყოს, არამედ მეფუტკრეობის საქმეში საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხების დამუშავებისა და გადაწყვეტის ასპარეზი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით სპეციფიურია და ზოგჯერ შეიძლება რენტაბელური არ იყოს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა რუმინეთის მეფუტკრეობის მეურნეობა, სადაც ფუტკრის ოჯახების რიცხვი 900 ათასს აღწევს. მათი რაოდენობა 1944 წელთან შედარებით სამჯერ გადიდდა.

კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებები დაჯგუფებული იყო ხუთ სპეციალურ კომისიაში: ბიოლოგიის, მეფუტკრეობის ბოტანიკის, ფუტკრის დაავადებების, მეფუტკრეობის ეკონომიკისა და მეფუტკრეობის პროდუქტების, ტექნოლოგიისა და ინვენტარისა. თვითეულ კომისიაში ხელმძღვანელის გარდა შედიოდა 7-8 წევრი. კომისიის ხელმძღვანელი მოკლე ანოტაციას იძლეოდა წარდგენილ მოხსენებებზე, რომლებიც წინასწარ იყო განხილულ-დამუშავებული კომისიის მიერ. შემდეგ იმართებოდა ღია კამათი წამოჭრილ საკითხებზე. ამ წესით მოსმენილ იქნა ყველა კომისიის მუშაობის შედეგი კონგრესზე წარდგენილი მოხსენებების მიხედვით. ყველაზე აქტიური მსჯელობა გაიმართა ფუტკრის დაავადებებისა და პროდუქტების ტექნოლოგიის კომისიის მუშაობის შეჯამებისას. უმეტეს მკვლევართა დასკვნებით, მეფუტკრეობის შემოსავლის ძირითად წყაროდ ახლო მომავალში უნდა გახდეს ფუტკრის რძე, ფუტკრის შხამი, ყვავილის მტვერი და დამტვერიანების შედეგად მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ნამატი.

კონგრესის მუშაობის პერიოდში გაიხსნა მეფუტკრეობის პირველი მსოფლიო გამოფენა-ბაზრობა. ბაზრობა მოწყობილი იყო ქალაქ ბუქარესტის განაპირა რაიონში, მეფუტკრეობის კომბინატისათვის აგებულ შენობაში. გამოფენა-ბაზრობა საუცხოოდ იყო გაფორმებული. მთავარ პავილიონში ნახავდით სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილ ექსპონატებს. დამთვალიერებელთა დიდ ყურადღებას იქცევდა საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი ფუტკრის პროდუქცია, მრავალი სახეობის, სხვადასხვა რაიონებისათვის დამახასიათებელი თაფლის ნიმუშები, ფუტკრის შხამისა და რძისაგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატები, ფუტკრის სანთლის (ცვილი) ნიმუშები, სკები და მრავალი სხვა. საქართველოდან წარდგენილი ექსპონატებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მთის რუხი ფუტკრის ოჯახი.

ქართული ფუტკრის სკის გვერდით იდგა დედების გასაგზავნი გალია, რომელშიც მოთავსებული გვყავდა საექსპორტოდ გამზადებული დედა ფუტკარი. მნახველები გვესაუბრებოდნენ ქართული ფუტკრის თვისებებზე. ისინი, ვინც უკვე იცნობდა ჩვენს ფუტკარს, სიამოვნებით უქებდნენ მას დანარჩენებს. ჩვენი ფუტკრების სურათები გადაიღეს, მრავალმა უცხოელმა ჩაიწერა მისამართი და წესი, თუ რა გზით გამოიწერონ ქართული მთის რუხი ფუტკარი.

ჟიურიმ შეაჯამა ფუტკრის ოჯახების გამოფენის შედეგები, ერთსულოვნად აღიარა ქართული მთის რუხი ფუტკარი კონკურსში გამარჯვებულად და მიაკუთვნა მას გამოფენის უმაღლესი ჯილდო — „დიდი ოქროს მედალი". ამ ამბავმა უსაზღვროდ გაგვახარა. იმავე დღეს „აპიმონდიის" პრეზიდენტმა, პროფესორმა ვ. ხარნაჟიმ მოგვილოცა დიდი ჯილდო და მისასალმებელი დეპეშა გამოგზავნა საქართველოში. დეპეშაში ვკითხულობთ:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მეფუტკრეობის მეოცე მსოფლიო საიუბილეო კონგრესის ჟიურიმ ქართულ მთის რუხ ფუტკარს, რომელიც წარმოდგენილი იყო კონკურსში, მიაკუთვნა ოქროს დიდი მედალი.

გილოცავთ მაღალ ჯილდოს და გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ფუტკრის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის.

„აპიმონდიის" თავმჯდომარე პროფესორი ვ. ხარნაჟი".

აღნიშნული ჯილდო, „დიდი ოქროს მედალი" და ეს საპატიო მილოცვა ეკუთვნის ქართველ მეფუტკრეებს და მთელ ქართველ ხალხს, რომლის ისტორიაში არა ერთი ყოფილა ასეთი საპატიო ჯილდო და მისალოცი დეპეშა.

31 აგვისტოს კონგრესმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. გადაწყდა შემდეგი XXI მსოფლიო კონგრესი მოეწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1967 წლის აგვისტოში. არჩეულ იქნენ „აპიმონდიის" საპატიო წევრები და ეროვნული კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს XXI კონგრესი. ამით კონგრესმა ოფიციალური მუშაობა დაამთავრა.

საპატიო ჯილდო — დიდი ოქროს მედალი და მოსალოცი დეპეშა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მეფუტკრეთა მრავალრიცხოვან კოლექტივს გვავალებს კიდევ უფრო მეტი შეგნებულობითა და სერიოზულობით მოვკიდოთ ხელი ამ მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო სპეციფიკური მქონე დარგის — მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების საქმეს, რათა ქართული მთის რუხი ფუტკარი ღირსეულად წარვადგინოთ XXI მსოფლიო მეფუტკრეობის კონგრესზე, რომელიც მოეწყობა 1967 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**ი. რაზმაძე,**
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი, მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესის მონაწილე.

• • •



**სურათებზე:** მეფუტკრეობის მე-20 საერთაშორისო კონგრესის მონაწილე ი. რაზმაძე და „დიდი ოქროს მედლის" წინა და უკანა მხარე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „კანტორის უფროსი და ბრძანებათა ნიაღვარი"

**პარტიის** ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა „კომუნისტში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ჭიათურის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსის დ. პერანიძის მუშაობის ნაკლოვანებებს.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა რედაქციას აცნობა:

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1965 წლის 5 სექტემბერს განიხილა გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი — „კანტორის უფროსი და ბრძანებათა ნიაღვარი", რომელიც შეეხებოდა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს დ. პერანიძეს.

ბიურომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც კანტორის უფროსად დ. პერანიძემ დაიწყო მუშაობა, გაუმჯობესდა პარკის გამოყენების კოეფიციენტი, მძღოლთა შორის განმტკიცდა დისციპლინა და კანტორას, გარდა მოგების გეგმისა, ყველა სახის მაჩვენებელი შესრულებული აქვს. ამასთან ერთად კანტორის უფროსმა დ. პერანიძემ დაუშვა მთელი რიგი შეცდომები, დარღვევები, რაც სამართლიანად აღნიშნული იყო კორესპონდენციაში.

ბიურომ აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციის ბიურო და პროფადგილკომი არ იყვნენ პრინციპულნი როგორც შრომის კანონმდებლობის დაცვის, ისე ადმინისტრაციის კონტროლის განხორციელების საქმეში.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ მუშაობაში სერიოზული შეცდომებისა და დარღვევებისათვის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს დ. პერანიძეს გამოუცხადა ხანტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და პირობით დატოვა სამუშაოზე.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი კანტორის მუშაობის არსებითად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

**ზ. პატარიძე,**
საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

რეპორტაჟი ○

# მცხეთური... კარტოფილი!

**მუხრანული** კიტრი, მცხეთური ყურძენი და ატამი ჩვენი დედაქალაქის მშრომელებში დიდი ხანია მოწონებით სარგებლობს... მცხეთური კარტოფილი კი წელს პირველად გამოჩნდა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს მანქანათსაგამოცდო სადგურის მცხეთის საცდელ მეურნეობაში მექანიზატორებმა შოთა ბაზალმა და ნიკოლოზ ჯალმაიძემ ბაგრატ მაზმანიანის ხელმძღვანელობით მუხრანის ველთან სოფელ წეროვნის ახლოს აზიდული გორების თავზე, მსხალტბისა და შვინდობის მინდვრებზე 48 ჰექტარი მიწა სანიმუშოდ მოხნეს, სასუქი შეიტანეს და კარტოფილი დათესეს. აღმონაცენი საუკეთესო იყო. საჭირო იყო აგროწესების ზუსტად დაცვით მოვლა. ამასთან ერთად მანქანათსაგამოცდო სადგური კარტოფილის სათეს, რიგთა შორის დამმუშავებელ და ასაღებ მანქანებს ცდიდა. გულდასმით აკვირდებოდნენ მანქანებს. ეკონომისტები კი ანგარიშობდნენ.

დადგა შემოდგომა. მსხალტბის მინდვრებში დაიწყო კარტოფილის მექანიზებული აღება.

— შესანიშნავად მუშაობს კარტოფილის ასაღები მანქანა „გბნ-2ბ", რომელიც რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაშია დამზადებული. — ამბობს საგამოცდო სადგურის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ვაშალომიძე. ჩვენმა მექანიზატორებმაც კარტოფილის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელის ბ. მაზმანიანის მეთაურობით თავიანთი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებაც მოასწრეს. როგორც ვხედავთ, ჩვენთან კარტოფილის რიგთა შორის მანძილი 90 სანტიმეტრია, რიაზანელთა მანქანა ერთ გავლაზე ერთი რიგის მეტს ვერ აიღებს. ჩვენმა მექანიზატორებმა მიწის სათხრელი და მბრუნავი ცხაურა გააგანიერეს, და ახლა მანქანა ერთდროულად ნათესის ორ რიგს იღებს. ამით მანქანა უფრო მაღალნაყოფიერი გახდა.

კარგი მანქანაა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჩვენს პირობებში ჯერ კიდევ გამოცდა მოუწევს. მთაგორიან ადგილებში სამუშაოდ არცთუ ისე მაღალნაყოფიერია, — ამბობს ბ. მაზმანიანი.

— ეს უზარმაზარი მინდვრები სამმა კაცმა დავამუშავეთ. ხვნა, თესვა, სასუქის შეტანა, რიგთა შორის დამუშავება და აღება მექანიზებულია. — გვითხრა მექანიზატორმა ნ. ჯალმაიძემ.

— მანქანებს მომავალში კიდევ გამოვცდით, უფრო სრულვყოფთ მის ნაყოფიერებას, — ამბობს მექანიზატორი შ. ბაზალი.

— ერთი შეხედეთ, რამხელა ტუბერებია! ინებეთ— ეს მცხეთური კარტოფილია, — ამბობს საცდელი მეურნეობის მთავარი აგრონომი გრიგოლ გუგუციძე. — თითო 300-400 გრამი გამოვა. ზოგიერთი მეტსაც აიწონის.

მსხალტბის მინდვრებში მექანიზატორებმა თხუთმეტ ჰექტარზე აიღეს კარტოფილი. ჰექტარზე 190 ცენტნერის მიღებას ვარაუდობდნენ, მაგრამ მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა — 150 ცენტნერზე მეტს იღებენ.

ახლა ხომ შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რა დაჯდა კილოგრამი კარტოფილი?

— ანგარიშწარმოების მუშაკებმა უკვე დააზუსტეს. გამოირკვა, რომ კილოგრამი 4 კაპიკი დაჯდა. — თქვა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გოგი ზაქაიძემ. — ასე რომ წელს კარტოფილით 30 ათასი მანეთი მოგება გვექნება. ჩვენი მეურნეობისა და თბილისის მშრომელებს იაფ და გემრიელ კარტოფილს მივცემთ.

მცხეთის საცდელი მეურნეობა ძირითადად მევენახეობას მისდევს (აქ 700 ჰექტარი ვენახი აქვთ, წელს 2.000 ტონა ყურძენს მისცემენ სამშობლოს), მაგრამ მთაგორიან ზონაში ნაყოფიერი მიწები უქმად იყო. იქ ვენახი ვერ ივარგებს. როგორც ახლა გამოირკვა, აქ კარტოფილის უხვი მოსავლის მიღება შეიძლება.

აი რეზერვების ამოქმედების ერთი მაგალითი. ყოველი მტკაველი მიწა ხალხის სამსახურში უნდა იყოს!

**ვ. გოზალიშვილი.**

• • •



**სურათზე:** კარტოფილის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელი მექანიზატორი ბ. მაზმანიანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საერთაშორისო ცხოვრება

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ზორინმა 11 სექტემბერს მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ჯოფრი ჰარისონი და გააკეთა განცხადება: იმის გამო, რომ ინგლისში ჩაყიდნენ დასავლეთ გერმანიის ჯარები, რომლებიც აწყობენ „სერჯენტის" ტიპის ამერიკული რაკეტების საწვრთნელ საბრძოლო გაშვებას. „სერჯენტის" ტიპის რაკეტებს შეუძლიათ ატომური მუხტის ტარება.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის ეს მოქმედება, ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ოდნავაც არ შეესაბამება ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთა მრავალ განცხადებას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ატომური შეიარაღების წინააღმდეგია. როგორც აღნიშნულია განცხადებაში, საბჭოთა მთავრობის აზრით, ეს მოქმედება კვლავ ადასტურებს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სულ უფრო ეთანხმება იმას, რომ დაკმაყოფილდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეტენზიები ატომური შეიარაღების დარგში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამით დიდი ბრიტანეთის მთავრობა კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ასეთი მოქმედების სერიოზული შედეგებისათვის. (საკდესი).

## მუშაობა დაამთავრა ლაიფციგის ბაზრობამ

**ბერლინი**, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ქ. სავინი გვატყობინებს:

კვლავ დადასტურდა, რომ ლაიპციგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის უდიდესი ცენტრია. აქ 5-დან 12 სექტემბრამდე მიმდინარეობდა 1965 წლის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობდა 60 ქვეყნის 6.500 ფირმა და საწარმო. ლაიფციგის ბაზრობის ამ საიუბილეო წელს საშემოდგომო ბაზრობა მოეწყო დევიზით: „ლაიფციგის ბაზრობის 800 წლისთავი — თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის". 1965 წლის საშემოდგომო ბაზრობა თავისი ფართო საერთაშორისო ხასიათით უდიდესი იყო ასეთი ტრადიციული დათვალიერების მთელ ისტორიაში.

ბაზრობის მუშაობის ყველა დღისათვის დამახასიათებელი იყო აქტიური კომერციული საქმიანობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა დადეს საექსპორტო-საიმპორტო გარიგებანი სამოცდაათი ქვეყნის ფირმებთან და სავაჭრო გაერთიანებებთან.

ლაიფციგის ბაზრობას დაესწრნენ 85 ქვეყნის სავაჭრო და სამრეწველო წრეების წარმომადგენლები, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო ვაჭრობის მინისტრმა ჰორსტ ზელემ. სოციალისტური და არასოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მოღვაწეებს, ხაზი გაუსვა მან, შესაძლებლობა ჰქონდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან ერთად განეხილათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან თავიანთი ქვეყნების ურთიერთობის განვითარების საკითხები. მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს შეხვედრები და საუბრები რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ურთიერთობას ახალ იმპულსს მისცემს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას.

წინასწარი მონაცემებით იმ გარიგებათა თანხა, რომლებსაც ხელი მოაწერეს ბაზრობაზე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებებმა, 50 მილიონ მანეთს აღემატება. ეს საკდესის კორესპონდენტს აცნობეს საბჭოთა გამოფენის დირექციაში. გარიგებათა მეტი წილი მოდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის —საბჭოთა კავშირის მთავარი სავაჭრო პარტნიორის წილად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან შეისყიდეს ტრიკოტაჟის ნაწარმი და წინდები, ფაიფურის ჭურჭელი, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია და სხვა საქონელი.

## ი. ცირანკევიჩი პარიზში

**პარიზი**, 11 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და მისი თანმხლებნი პირნი დღეს სტუმრად იყვნენ პრეზიდენტ დე გოლთან, რომელმაც საუზმე გამართა პოლონეთის მთავრობის მეთაურის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. პომპიდუ, საგარეო საქმეთა მინისტრი მ. კუვ დე მიურვილი, ინფორმაციის მინისტრი ა. პეირეფიტი და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის წინ შ. დე გოლმა და ი. ცირანკევიჩმა ნახევარ საათს ისაუბრეს, განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები და, კერძოდ, გერმანიის პრობლემა.

საუზმეზე შ. დე გოლმა და ი. ცირანკევიჩმა წარმოთქვეს სადღეგრძელოები. დღეს დილით ი. ცირანკევიჩი იწვია დაგეგმვის კომისარიატს, სადაც იგი მიიღო უმაღლესმა კომისარმა პ. მასემ.

დღეს დილით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კუვ დე მიურვილსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მ. ნაშკოვსკის მოლაპარაკება ჰქონდათ ეკონომიური, სავაჭრო, ფინანსური და კულტურული ხასიათის პრობლემებზე, რომლებიც საფრანგეთსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას აინტერესებთ.

## სასაზღვრო კონფლიქტი

**დელი**, 13 სექტემბერი. (საკდესი). „ამ უკანასკნელი დღის განმავლობაში ლაჰორისა და სიალკოტის მიმართულებებით ხელთ ვიგდეთ პაკისტანის 30 ტანკი და გავანადგურეთ 52 ტანკი", განაცხადა გუშინ ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. გრძელდება ინდოეთის ჯარების შეტევა ლაჰორის, — კასურისა და სიალკოტის მიმართულებებით.

ინდოეთის ოფიციალური წყაროების მონაცემებით, საომარი კონფლიქტის დაწყებიდან პაკისტანმა დაკარგა 246 ტანკი (ინდოეთის ჯარებმა მოსპეს 212 ტანკი და ხელთ იგდეს — 34).

**პარიზი**, 13 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ყარაჩიდან იუწყება, პაკისტანის რადიომ დღეს გამოაცხადა, რომ გუშინ პაკისტანის არმიის ჯავშანსატანკო ნაწილებმა „ძლიერი საპასუხო დარტყმა მიაყენეს ინდოეთის ჯარებს სიალკოტის რაიონში".

ყარაჩიში გამოაცხადეს, წერს ფრანს პრესის სააგენტო, რომ პაკისტანის ჯარები ძლიერ ავიწროებენ მოწინააღმდეგეს ქხემ კარანის სექტორში.

## კონტრაქტები გაუქმებულია

**ტოკიო**, 13 სექტემბერი. (საკდესი). სრულიად იაპონიის მეზღვაურთა პროფკავშირის მოთხოვნით, იაპონიის ოთხმა სანაოსნო კომპანიამ გააუქმა ამერიკის სანაოსნო კომპანია „სტეიტს მარინ ლაინსთან" დადებული კონტრაქტები საიგონსა და სამხრეთ ვიეტნამის სხვა ნავსადგურებს შორის ტვირთის გადასაზიდად იაპონიის 8 გემის გამოყენების შესახებ.

## „ლუმანიტეს" დღესასწაული

**პარიზი**, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ზვანცოვი გვატყობინებს: ნახევარ მილიონზე მეტი ფრანგი იყო ორი დღის — 11 და 12 სექტემბრის მანძილზე პარიზის გარეუბნის კურნევის პარკში, რათა აღენიშნათ ფრანგი კომუნისტების გაზეთის „ლუმანიტეს" ტრადიციული საშემოდგომო დღესასწაული.

პარკის ტერიტორიაზე მოწყობილი მრავალი სტენდი და ასობით პავილიონი მოწმობს, რომ აქ მიმდინარეობს პროლეტარული გაზეთის დღესასწაული: სტენდებზე გამოფენილია ყველასთვის ცნობილი მოძმე გაზეთები „პრავდა", „რაბოტნიჩესკო დელო", „უნიტა", „ნოიეს დოიჩლანდი".

გუშინ პარკის სტადიონზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვალდეკ როშეს მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა „ლუმანიტეს" დირექტორმა, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა. კურნევის დღესასწაულის წარმატება, თქვა მან, მოწმობს კომპარტიისა და მისი საბრძოლო ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს" დიდ პოპულარობას ჩვენს ქვეყანაში.

ფაჟონის სიტყვის დროს [illegible] რეზოლუცია, რომელ[illegible] სია ვიეტნამში.

მიტინგი დამთავრდა. მისმა მონაწილეებმა შეასრულეს „მარსელიოზა" და მუშათა კლასის ჰიმნი „ინტერნაციონალი". ცაში აფარდა მუშხუნები, აფრიალდა ტრანსპარანტები, რომლებზედაც ეხატა „ლუმანიტეს" თავფურცელი, აფრიალდა სამფეროვანი და წითელი ალმები.

## იაპონიის მთავრობა ჩქარობს

**ტოკიო**, 13 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ კორეის ხელისუფალნი დათანხმდნენ იაპონიის მთავრობის წინადადებაზე, რომ სეულში შეიქმნას იაპონიის დიპლომატიური მისია. როგორც დღეს გაზეთი „ასახი ივნინგ ნიუსი" იუწყება, ეს დაევალა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტოკიოში სამხრეთ კორეის მისიის საშუალებით. ამრიგად, იაპონიის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ კორეის ხელისუფლებთან, დე-ფაქტო, ისე, რომ არ დაელოდა იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების რატიფიკაციის ეგრეთ წოდებული ურთიერთობის „ნორმალიზაციის" შესახებ.

სოციალისტურმა პარტიამ, პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, კომუნისტურმა პარტიამ და სხვა ბევრმა ორგანიზაციამ მტკიცედ გაილაშქრეს იაპონია-სამხრეთ კორეის ურთიერთობის ცალმხრივი ნორმალიზაციის წინააღმდეგ.



ამ ბარიკადის უკან საიგონში, ამერიკის საელჩოს შენობაში ხალხის რისხვას ემალებიან ინდოჩინეთის „ბინძური" ომის დირიჟორები.

ფოტო ჟურნალ „ლაიფიდან".

## ჩამოაგდეს სამი თვითმფრინავი

**ჰანოი**, 13 სექტემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის გუშინდელი თავდასხმის დროს ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა ჰანოის დასავლეთით ჩამოაგდეს „f-105" ტიპის სამი ავიაგამანადგურებელი-ბომბდამშენი.

## ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები მოსკოვს დაბრუნდნენ

**13 სექტემბერს** საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ანტონინ ნოვოტნი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

ამავე თვითმფრინავით მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. ფ. ილიჩოვი და სხვა პირები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას ახლდნენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. (საკდესი).

## მთავრობის პოლიტიკის გადასინჯვისათვის

**რომი**, 13 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ გადაისინჯოს იტალიის საგარეო პოლიტიკა, რათა თავი დააღწიოს საშიშ ვალდებულებებს.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუციაში, რომელიც გაზეთმა „უნიტამ" გამოაქვეყნა, ნათქვამია: იტალიის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა ნიშნავს: მხარი დავუჭიროთ ვიეტნამელ ხალხს, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხელი ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების მხარდაჭერაზე.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მრეწველობის ძირითადი დარგები — საფეიქრო, სამშენებლო, მეტალურგიული, ლითონდამამუშავებელი და სხვა დარგები კრიზისს განიცდიან, კრიზისი გრძელდება აგრეთვე სოფლის მეურნეობაში.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ მუშათა კლასს კიდევ უფრო უნდა შეუწყონ ხელი მის სოციალურ და ეკონომიურ ბრძოლაში, — ნათქვამია რეზოლუციაში.

## იზრდება იტალიის კომპარტიის რიგები

**რომი**, 13 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ აგვისტოში იტალიის კომუნისტურ პარტიაში შევიდა 10.961 კაცი. ამ თვის მონაცემებით, წლის დამდეგიდან პარტიული ბილეთები გამოცვალა, აგრეთვე შევიდა პარტიაში 1.607.191 კაცი. პარტიული ბილეთების გამოცვლა გრძელდება.

## სოციალისტურ ქვეყნებში

● მეგობრული ვიზიტი ბულგარეთში ● ატომი ადამიანს ემსახურება ● ამზადებენ კადრებს მრეწველობისათვის.

**სოფია**, 13 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით დღეს ბულგარეთში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ. სოფიის აეროდრომზე რუმინელ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სოფიის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა და ნიკოლაე ჩაუშესკუმ წარმოთქვეს სიტყვები.

**რუმინეთის** სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიის ატომური ფიზიკის ინსტიტუტში ამზადებენ 50-ზე მეტი სახეობის რადიოაქტიურ იზოტოპს. მათ სულ უფრო ფართოდ იყენებენ მრეწველობაში, მედიცინაში, მეცნიერულ კვლევაში. მეცნიერები სწავლობენ საკითხს, თუ როგორ მოქმედებს რადიოაქტიური გამოსხივება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

რუმინეთის კომპარტიის IX ყრილობის დირექტივებში 1966-1975 წლებში რუმინეთის ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ელექტროფიკაციის შესახებ, დასახულია ამოცანა აშენდეს ატომური ელექტროსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე 1 მილიონი კილოვატი იქნება.

ამ ბოლო წლებში მონღოლეთში შეიქმნა ათობით ახალი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის ელექტროსადგურები, სამთომომპოვებელი და სამშენებლო საწარმოები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, შეიქმნა სამრეწველო-სასოფლო-სამეურნეო რაიონები.

მონღოლეთის ახალგაზრდა მრეწველობისათვის კადრებს ამზადებს სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელი — სასწავლო კომბინატები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გარდა ამისა ახალგაზრდა მუშების ფართო მასებს საშუალება აქვთ დასპეციალდნენ და აიმაღლონ კვალიფიკაცია საწარმოებში და მშენებლობებზე არსებულ კურსებსა და წრეებში.

ტექნიკური კადრების მომზადებაში მონღოლეთს დიდ დახმარებას გაუწევს საბჭოთა კავშირი, კერძოდ, 1965-1966 წლებში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდება ახალი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი სოფლის მექანიზატორთა მოსამზადებლად.





* * *

**მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკა. სახელმწიფო უნივერმაღი ულან-ბატორში.

ფოტო მონცამე-ასსი-ისა.

## ვ ე რ ა ფ ე რ ი ი მ ე დ ს ვ ე რ ჩ ა კ ლ ა ვ ე ნ!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალისტური და მილიტარისტული წრეები კვლავ ზრდიან სამხედრო ძლიერებას, ცდილობენ წამყვანი ადგილი დაიკავონ ნატოში და თავიანთ ხალხს მატერიალურად და ფსიქოლოგიურად ამზადებენ ახალი ომისათვის.

ჰიტლერული არმიის განადგურების მე-20 წლისთავი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანელი ხალხის განთავისუფლების დღესასწაულად როდი აღუნიშნავთ. აქ გაისმოდა ხმები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ დასავლეთ გერმანიის მიერ ომის შემდეგ განვლილ გზას და დაჟინებით მოითხოვდნენ ომის შედეგების რევიზიას. მთავრობის წევრები თავმჯდომარეობდნენ ეგრეთწოდებულ „სათვისტომოთა" რევანშისტულ თავყრილობებზე. გამოშვებულ იქნა სპეციალური საფოსტო მარკა, მიძღვნილი სუდეტებისადმი — ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიისადმი, რომელსაც თითქოს „გერმანული ხასიათი" აქვს. ფურცლები, რომლებსაცავრცელებენ, შეიცავს რევანშისტულ პრეტენზიებს არა მარტო სუდეტებზე, არამედ ოდერ-ნეისეს საზღვარს აქეთ მდებარე პოლონურ და საბჭოთა ტერიტორიებზეც.

დასავლეთგერმანელი მილიტარისტები კვლავ ლაყბობენ „თავიანთ" სამხრეთ ტიროლზე და ცდილობენ შთანთქან მთელი ავსტრია. გარდა ამისა, დიდი ხნის შემდეგ პირველად, ბონელი რევანშისტები აშკარად მოითხოვენ ელზასისა და ლოთარინგიის შეერთებას. ალბათ დასავლეთგერმანელი „ულტრები" თავს საკმაოდ ძლიერად გრძნობენ, თავიანთ ფრანგ მეზობელსა და მოკავშირესაც კი ანგარიშს რომ არ უწევენ..

დასავლეთ გერმანიის სასამართლომ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი იპოვნა ოსვენციმის ბანაკის 55 მკვლელისათვის, პარლამენტმა კი ხმა მისცა საგანგებო კანონების მიღებას, რომლებიც მთავრობას უფლებას აძლევენ განახორციელოს ეკონომიკის სრული მილიტარიზაცია, დაამყაროს რესპუბლიკაში სამხედრო დიქტატურის სისტემა, „სამოქალაქო თავდაცვის" ლეღვის ფოთოლს ამოფარებით. რისთვის წარმოებს ასეთი მზადება, როცა არავინ არ აპირებს თავს დაესხას დასავლეთ გერმანიას?

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლა საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ცნობილია, რომ იქ არსებული „დემოკრატიის" პირობებში კომუნისტური პარტია აკრძალულია. საგარეო პოლიტიკის დარგში არავითარი განსხვავება არ არის ძალაუფლებისათვის მებრძოლ ორ დიდ პარტიას — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ—ქრისტიანულ-სოციალურ კავშირსა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის ტრიბუნის თავზე ეკიდა დიდი რუკა გერმანიისა 1937 წლის საზღვრებში...

ამჟამად ამ პარტიების პოლიტიკანები აღარ ლაპარაკობენ „სამხედროფორმაჩაცმულ მოქალაქეთა" და სამოქალაქო პირების კონტროლში მყოფ არმიაზე. პირიქით, ყველა ეს მოღვაწენი ცდილობენ დაარწმუნონ სამხედრო ხროვა, რომ მისდამი სიმპათიით არიან განწყობილნი, წვრთნა, ძველი ტრადიციები კვლავ პატივშია. 12 აგვისტოს კანცლერმა ერჰარდმა პროფესიონალი სამხედრო პირი, გენერალი დანიშნა არმიის პირადი შემადგენლობის უფროსის პოსტზე, თუმცა 1956 წელს ბუნდესტაგმა ხმა მისცა იმას, რომ ამ პოსტზე სამოქალაქო პირი ინიშნებოდეს. თავდაცვის მინისტრის პოსტზე გათვალისწინებულმა კანდიდატმა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან შმიდტმა ცინიკურად განაცხადა, რომ იგი მომხრეა აღდგენილ იქნას გენერალური შტაბი, რომელიც აკრძალულია პოტსდამის შეთანხმებებით.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღითიდღე იზრდება დასავლეთგერმანელი გენერლების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე. ისინი ატლანტიკური ბლოკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილენი არიან, თავმჯდომარეობენ მის მუდმივ „ჯგუფებში", რომლებიც სტრატეგიულ გეგმებს ამუშავებენ. მათი ხელქვეითია ბალტიკის სექტორის სარდლობა. მათი დაჟინებული მოთხოვნით მიღებულ იქნა ეგრეთწოდებული „წინწაწეულ ზღუდეების სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებს დასავლეთი ქვეყნების ჯარების განლაგებას ზედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვართან. ამჟამად მათი ღონისძიებანი მიმართულია იმისაკენ, რომ შეასრულონ ხელახლა შეიარაღების უკანასკნელი ეტაპი — ხელთ იგდონ ატომური იარაღი. მაშინ ვერაფერი ვეღარ შეაჩერებს მილიტარისტებს, რომლებიც მესამე მსოფლიო ომს გეგმავენ.

ყოფილი ნაცისტი — ამჟამად ბუნდესვერის გენერლები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ გეგმებს, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული „ნატოს ატლანტიკური ატომური ძალები", რომელთა ფარგლებში მათთვის, სხვებთან თანაბარი უფლებით, ხელმისაწვდომი იქნება ატომური იარაღი.

ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რაიმე შეთანხმებას, რომელიც განიარაღებას შეეხება და, მაშასადამე, ჯვარს უსვამს მათ შორსგამიზნულ გეგმებს. ისინი განსაკუთრებით აბრკოლებენ შეთანხმებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომლის საკითხიც დგას ჟენევაში განიარაღების საკითხთა 18 სახელმწიფოს კომიტეტის დღის წესრიგში.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შრედერმა პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყვის უარს ატომური იარაღის ფლობაზე, თუ მოხერხდება შეიქმნას „ნატოს ატლანტიკური ატომური ძალები", რომლებშიც უთუოდ მონაწილეობას მიიღებს დასავლეთი გერმანიაც.

ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ახორციელებენ, ბონში უაღრესად მხურვალედ იწონებენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოში ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ის მოკავშირეა, რომელიც უყოყმანოდ იწონებს მათ დანაშაულებრივ ინტერვენციას ვიეტნამში. და ეს გასაგებიც არის! ბონელი რევანშისტები მიესალმებიან ყოველივე იმას, რაც კი ზიანს აყენებს მშვიდობიან თანაარსებობას. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მოქმედება განა რაინელ მილიტარისტთა თვალში მათი წარსული მოქმედების გამართლება არ არის? განა უფრო მტკიცედ არ გრძნობენ თავს ისინი, ვინც გერნიკასა და კოვენტრის ბომბავდა, როცა შეიტყობენ ახალ და ახალ თავდასხმებს ჩრდილოეთ ვიეტნამის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე და სამხრეთვიეტნამელი პატრიოტებისათვის მხეცურად ანგარიშის გასწორებას?

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჰარიმანის უკანასკნელი ვიზიტის დროს ბონელმა ხელმძღვანელებმა ცხადად აგრძნობინეს მას, რომ აზიაში ამერიკის პოლიტიკისათვის მხარდაჭერის სამაგიეროდ შეერთებულმა შტატებმა სავსებით უნდა დაუჭირონ მხარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკას ევროპაში.

ბონელი ნაციონალ-რევანშისტები ხელს ითბობენ ამერიკელი „ულტრების" საქმიანობაზე. რამდენიმე თვის წინათ ფონ ჰასელისა და მაკნამარას მიერ ხელმოწერილი სამხედრო შეთანხმება ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის არმიების ფაქტიურ ერთიანობას ამყარებს, განსაკუთრებით შეიარაღების დარგში.

დასავლეთგერმანელი პოლიტიკანებისათვის ხელსაყრელია საერთაშორისო დაძაბულობა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ძალაში დატოვონ ეს დაძაბულობა და ჩაუკლან ადამიანებს მშვიდობის განმტკიცების იმედი.

ის „ვალდებულებანი", რომლებსაც ჯონსონი იღებს ვიეტნამის მიმართ, სულ უფრო და უფრო უბიძგებენ ამერიკას უფსკრულისაკენ. შეუძლებელია ცეცხლთან თამაში ისე, რომ ხანძრის საშიშროება არ გაზარდო. ამავე დროს შეუძლებელია „ჯვაროსნული ლაშქრობის" დაწყება მსოფლიოს ერთ ნაწილში ისე, რომ მჭიდროდ არ დაუკავშირდე იმათ, ვინც დიდი ხანია ოცნებობს „ჯვაროსნულ ლაშქრობაზე" მსოფლიოს სხვა ნაწილში. შეუძლებელია ამრავლებდე დანაშაულობებს აზიაში ისე, რომ ევროპაში სამხედრო დამნაშავეთა თანამონაწილე არ ხდებოდე.

დაე გაიგოს ეს ამერიკელმა ხალხმა, ხოლო მისმა ახლანდელმა ხელმძღვანელებმა გაიხსენონ, რომ გერმანიის მილიტარიზმმა ყოველთვის მიიყვანა თავისი ხალხი უსაშინელეს კატასტროფამდე. ორჯერ მარტო ერთი თაობის სიცოცხლეში.

**ჟან-მორის ერმანი**,
ფრანგი პუბლიცისტი.
პარიზი, სექტემბერი.

## საფრთხე — დასავლეთ გერმანიიდან

**ბერლინი**, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სელივერსტოვი გვატყობინებს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ასეულათასობით მოქალაქე გუშინ გამოვიდა ქალაქებისა და სოფლების ქუჩებსა და მოედნებზე, რათა პატივი ეცა ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისათვის. ბერლინში, ლაიფციგში, როსტოკში, ბრანდენბურგში გამართულ მიტინგებზე ორატორებმა გულისწყრომით დაგმეს რევანშიზმის თარეში დასავლეთ გერმანიაში. ორატორებმა აღნიშნეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუშალოს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას გერმანიის ტერიტორიიდან.

ბუხენვალდში გაიმართა ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი მანიფესტაცია. ვაიმარის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და გერმანიაში განლაგებულ საბჭოთა ჯარების ჯგუფის ოფიცრებმა გვირგვინებით შეამკეს საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულ პატიმართა მონუმენტი, აგრეთვე მემორიალური დაფა, რომელზეც გამოსახულია ფაშისტების მიერ აქვე მხეცურად მოკლული ერნსტ ტელმანი — გერმანიის მუშათა კლასის ბელადი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოაწყო დარბაზობა, რომელზეც იყვნენ ევროპის ბევრი ქვეყნის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მოსახლეობას, განაცხადა დარბაზობაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. აბუშმა, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ უფრო მტკიცედ იბრძოლონ განიარაღებისათვის, ევროპის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა დასავლეთ გერმანიის მმართველი პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი გადაჭრით ცდილობს მოიპოვოს ატომური იარაღის ფლობის უფლება, რევანშისტულ პრეტენზიებს აცხადებს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე და „ახალი ფიურერითაც" კი იმუქრება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთელი მოსახლეობა, თქვა ა. აბუშმა, განუხრელად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისთვის, დაძაბულობის შენელებისათვის და სხვა ქვეყნებთან, მათ შორის გერმანიის ორივე სახელმწიფოს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთი ბერლინის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

## მშრომლები იცავენ თავიანთ უფლებებს

### მთავრობა არღვევს შეთანხმებებს

**ბუენოს-აირესი**. არგენტინის მთავრობამ სამხედრო სასამართლოს გადასცა ნავთობის ტანკერების და სხვა გემების ეკიპაჟები, რომლებიც 2 სექტემბერს გაურკვეველი ვადით გაიფიცნენ. გაფიცვა გამოცხადდა ახალი დეკრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამ დეკრეტით მთავრობა არღვევს დადებულ შრომით შეთანხმებებს.

გაფიცვის შედეგად შეიძლება სულ მთლად შეწყვეტილიყო სამრეწველო საწარმოთა მუშაობა. შრომის მინისტრმა საზღვაო ოფიცრებისა და მექანიკოსების პროფკავშირთა ცენტრს (გაფიცვის მონაწილეთა პროფკავშირული ორგანიზაცია) წინადადება მისცა შეეწყვიტათ გაფიცვა და დაეწყოთ მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტი ილია. პროფკავშირის ცენტრმა უარყო ეს წინადადება.

ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ლეოპოლდო სუარესმა ილიასთან და მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამოაქვეყნა ბრძანება გაფიცვის მონაწილეთა მობილიზაციის შესახებ. ეს ახლანდელი მთავრობის პირველი ბრძანებაა მობილიზაციის შესახებ: იგი ეყრდნობა პერონის დროს მიღებულ კანონს — „ომის დროს არგენტინის დარაზმვის კანონს". ეს კანონი მას შემდეგ არაერთხელ გამოუყენებიათ გაფიცული მშრომელების წინააღმდეგ. კანონი ნებას იძლევა შეიქმნას სამხედრო სასამართლოები იმ მობილიზებულთა საქმის გასარჩევად, რომლებმაც არსებული კანონები დაარღვიეს.

საზღვაო ოფიცერთა და მექანიკოსთა პროფკავშირულმა ცენტრმა განაცხადა, რომ გაფიცვის მონაწილენი მუშაობას არ განაახლებენ და წინააღმდეგობას გაუწევენ მობილიზაციას. ცენტრი აცხადებს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიება ეწინააღმდეგება არგენტინის კონსტიტუციას.

### 100 ათასი გაფიცული

**ბოგოტა**. ამჟამად კოლუმბიაში გაფიცულია 100 ათასზე მეტი მშრომელი. გაფიცულთა შორის არიან დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლები, სასტუმროების მუშაკები, ფეიქრები, დურგლები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი და ბევრი სხვა.

გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნაა ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება, დათხოვნების შეწყვეტა, დაპატიმრებულ პროფკავშირთა ხელმძღვანელების განთავისუფლება.

### საპროტესტო მოძრაობა ფართოვდება

**ლონდონი**. ლეოპოლდვილის კონგოს დედაქალაქში გაფიცვა გამოაცხადა კონგოს ერთ-ერთი უდიდესი საფეიქრო ფირმის „ტექსლეოს" დაახლოებით 4,5 ათასმა მუშამ. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ კონგოს დედაქალაქის 400-ზე მეტმა დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა საზაფხულო არდადეგების დამთავრების შემდეგ უარი თქვა დაეწყო მუშაობა. თავიანთი უარი იმით დაასაბუთეს, რომ მთავრობამ არ გადაუხადა ხელფასის დაპირებული დანამატი. როგორც უცხოელი ჟურნალისტები აღნიშნავენ ამჟამად ლეოპოლდვილის კონგოს მთელ რესპუბლიკაში იზრდება და ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა ცხოვრების გაძვირებისა და მცირე ხელფასის წინააღმდეგ.

### მშრომელთა უფლებების წინააღმდეგ

**რომი**. „ვალე სუზას" ბამბეულის ფაბრიკის მშრომელთა ბრძოლამ მისი მფლობელების წინააღმდეგ, რომლებსაც მიმდინარე წლის აპრილიდან ხელფასი არ მიუციათ მუშებისათვის, დღის წესრიგში დასვა ფაბრიკის ნაციონალიზაციისა და სახელმწიფო სექტორისათვის გადაცემის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით კომუნისტ დეპუტატთა ჯგუფმა ბიუჯეტისა და დაგეგმვის მინისტრს, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს, აგრეთვე საწარმოებში სახელმწიფოს მონაწილეობის საქმეთა მინისტრს შეკითხვა მისცა, გამოთქვან თავიანთი აზრი ამ ფაბრიკის სასწრაფო ნაციონალიზაციის წინადადების თაობაზე.

კონცერნ „იტალჩემენტის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმოს — ცემენტის ფაბრიკა „ჩემენტი პორტლანდის" 97 მუშა პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ ორი კვირის განმავლობაში ფაბრიკა დაიკავეს და მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ამასწინათ გაასამართლეს აგრეთვე სარდინიელ მაღაროელთა ჯგუფი, რომლებმაც შახტი დაიკავეს დათხოვნათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გაზეთი „უნიტა" იხსენებს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში რკინიგზელთა და ქუჩის მოძრაობის მარეგულირებელთა ჯგუფი სასამართლოს გადასცეს გაფიცვებში მონაწილეობისათვის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიაში მონოპოლიები კვლავ ლახავენ მშრომელთა უფლებებს.

### მელბურნი არ იღებს თვითმფრინავებს

**კანბერა**. დაიწყო ავსტრალიის ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტის — მელბურნის აეროპორტის მფრინავების და მომსახურე პერსონალის გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

### ცხოვრება გაძვირდა

**ტოკიო**. იაპონიაში ფასების ზრდა სერიოზულ პრობლემად იქცა. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ოფიციალური მონაცემების თანახმად ტოკიოში ცხოვრება ექვსი პროცენტით გაძვირდა, ასეთივე მდგომარეობაა იაპონიის სხვა ქალაქებშიც.

ტოკიოში გაიმართა იმ იაპონელ მომხმარებელთა ორგანიზაციების კავშირის ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, რომლებიც იბრძვიან ფასების ზრდის წინააღმდეგ. საბჭოში შედიან ისეთი მასობრივი ორგანიზაციები, როგორიცაა პროფკავშირთა გენერალური საბჭო, იაპონიის დიასახლისთა ფედერაცია და სხვა ორგანიზაციები. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ფართოდ გააჩაღოს საპროტესტო მოძრაობა ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ. (საკდესი).

## კაპიტალის ქვეყნებში

# ახალი წიგნები · ცნობები

# მუსკომედიის თეატრი გვპირდება

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა სპექტაკლ „ჩვენი სიხარულით" დაიწყო თავისი ოცდამეცხრამეტე სეზონი. ამასთან დაკავშირებით თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. შანიძემ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი თეატრის ისტორიაში პირველად დავიწყეთ თეატრალური სეზონი ახალ შენობაში, რომელიც დამსახურებულად მოიწონეს თბილისელებმაც და სტუმრებმაც. ეს სეზონი მეტად პასუხსაგები იქნება, უნდა შევქმნათ მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების ორმოცდამეათე წლისთავისა და რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნება.

ახალი სეზონის პირველი პრემიერა ი. კერესელიძის ოპერეტა „ელუბლები მყვავიან" (ლიბ-

### ახალი სეზონი, ახალი ამოცანები

◆

რეტო ო. რაზმაძისა) იქნება. მის განხორციელებაზე მუშაობენ რეჟისორი ე. გედევანიშვილი, დირიჟორი თ. კობახიძე, მხატვარი ელ. ახვლედიანი. ვმუშაობთ აგრეთვე შ. ჯოჯუას „ერთგულებაზე" (სახელწოდება პირობითია), რომელსაც დადგამს რეჟისორი ბ. გამრეკელი. დირიჟორი იქნება გ. კახიანი, მხატვარი — მ. მალაზონია.

რეპერტუარში გათვალისწინებულია აგრეთვე ნ. გუდიაშვილის ჰეროიკული მუსიკალური კომედია „სალხინობელი" (ლიბრეტოს წერს დ. თაქთაქიშვილი), ამერიკელი კომპოზიტორის ფ. ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი" (ბ. შოუს პიგმალიონის" მიხედვით), კალმანის ოპერეტა „სილვა", ახალი დადგმით წარმოვადგენთ შ. აზმაიფარაშვილის ოპერეტას „რაც გინახავს ველარ ნახავ".

თეატრთან მჭიდრო კავშირში ახალ ნაწარმოებებზე მუშაობენ კომპოზიტორები გ. ცაბაძე, შ. მილორავა, ს. ცინცაძე, ალ. შავერზაშვილი, დრამატურგები ლ. ქუბანეიშვილი, ო. რაზმაძე, ნ. ხუნწარია, ს. ჭელიძე, ვ. გოგოლაშვილი და ო. მამფორია.

რა თქმა უნდა, ახალი სეზონის რეპერტუარში რჩება გასული წლის დადგმები „შესანიშნავი საჩუქარი", „სტუდენტები", „სიმღერა თბილისზე", „ცირკის პრინცესა", „მონმარტრის ია", „ჩანიტას კოცნა" და სხვ.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ახალგაზრდა ძალებით შეივსო, ახალ სეზონში შეეცდება ისე გაგოს რეპერტუარი, ისე იმუშაოს კომპოზიტორებთან და დრამატურგებთან, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად დააკმაყოფილოს ჩვენი მაყურებლის სულიერი მოთხოვნილებანი.

## მოკლედ

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინიციატივით ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში გამოსასვლელი დღის ტურიზმი — ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გასვლა-გასეირნება, აგრეთვე ტურისტული ლაშქრობები, მრავალდღიანი მოგზაურობა. ტურისტულმა კლუბმა 800-ზე მეტი კაცი მოამზადა სსრ კავშირის ტურისტის ნიშანზე.

ონი. (საქ. კორ.). შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს სოფელ საკაოს მცხოვრებლებმა. აქ დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობის მონტაჟი. სოფლის ტერიტორიაზე დაიდგა სამი ელექტროქვესადგური. კოლმეურნეთა ბინები და ეზოები სინათლით გაჩახჩახდა.

სახერე. (საქ. კორ.). აქ არსებობს ჯანმრთელობის დაცვის უნივერსიტეტი, რომლის რექტორია ექიმი გ. ლონდაძე. უნივერსიტეტს 50-მდე მსმენელი ჰყავს.

ტყიბული. (საქ. კორ.). ცისფერი ეკრანი დიდი პოპულარობით სარგებლობს მეშახტეთა ქალაქში—ტყიბულში. ათასზე მეტ ოჯახში უკვე დგას ტელევიზორი. მეშახტეები გადაცემებს იღებენ თბილისიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

ტელემაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით ამ დღეებში ქალაქში გაიხსნა კეთილმოწყობილი ტელეატელიე.

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს ღვაწლმოსილ ექიმებს — საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს ნიკოლოზ ჩხეიძეს, ექიმებს შალვა ტყეშელაშვილს, გრიგოლ კაკუშაძესა და პროვიზორ მიხეილ ჩხეიძეს.

შ. ებანოიძე.





სეზონის გახსნა თბილისის იპოდრომზე. სურათებზე: მარცხნივ — მესამე გარბენის ფინიში; მარჯვნივ — ჩორთითმავალი ცხენების შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ფინიში ერევნის ხალიჩებზე

## მეხუთე ჩემპიონი საქართველოდან

ერევანი. (ჩვენი სპეც. კორ.). იმ ქართველ ფალავანთა ჯგუფს, ტრიუმფით რომ დაამთავრეს თბილისში გამართული საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, შეემატა კიდევ ერთი სპორტსმენი. ეს არის 26 წლის თბილისელი ინჟინერი, მსუბუქი წონის მოჭიდავე ზარიბეგ ბერიაშვილი. მან მეოთხეჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

მსუბუქ წონაში ფინალში სამი ქართველი მოჭიდავე გავიდა: ორი თბილისელი — ზ. ბერიაშვილი და მ. გოგავა და ორჯონიკიძელი ნ. ჟურული. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი სპორტსმენები. აშკარა უპირატესობით გამარჯვებას მიაღწია ზ. ბერიაშვილმა. მეორე შეხვედრა მ. გოგავამ ნ. ჟურულთან ქულებით წააგო და მესამე ადგილი დაიკავა.

პირველი ადგილისათვის გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ზ. ბერიაშვილი და ნ. ჟურული. თბილისელი ფალავნის ოსტატობამ ამ შეხვედრაშიც იჩინა თავი. მან ორთაბრძოლა მოიგო ხუთი მომგებიანი ქულით, მაშინ როდესაც მისმა მოწინააღმდეგემ მიიღო მხოლოდ ერთი. ნ. ჟურულმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ქართველი მოჭიდავეების ჰეგემონია მსუბუქ წონაში განამტკიცა ნ. ხოხაშვილის მეოთხე ადგილმა. უკანასკნელ დღეს მან დაამარცხა პირველობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ი. გუსოვი (ორჯონიკიძე).

მძიმე წონაში აშკარად იგრძნობოდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ა. ალიევის (მახაჩყალა) უპირატესობა. ალიევმა ისეთი ოსტატობით ჩაატარა მთელი ტურნირი, რომ მისთვის საკმარისი აღმოჩნდა ორი უკანასკნელი შეხვედრის ფრედ დამთავრებაც კი. ა. ალიევი, ისევე როგორც ბერიაშვილი, მეოთხედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მეორე ადგილზე გამოვიდა ერევნელი პ. მალიანი, მესამეზე — ორჯონიკიძელი ფ. აკოევი.

საშუალო წონაში ფინალამდე თანაბრად მიიწევდნენ ჭიდაობის ვეტერანები—კიეველი ბ. გურევიჩი და ლენინგრადელი ა. ალბული. მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ მათს ფინალურ შერკინებას. მაგრამ მათი იმედები მხოლოდ იმედებად დარჩა, ვინაიდან უკანასკნელ მომენტში ა. ალბული დაყაბულდა ვერცხლის მედალს და უარი განაცხადა მომავალ ჩემპიონთან ბ. გურევიჩთან შეხვედრაზე. მესამე ადგილისათვის დაინიშნა დამატებითი ბრძოლა თბილისელ ა. ცხოვრებოვსა და ორჯონიკიძელ ვ. პარასტაევს შორის. ამ შეხვედრაში გამარჯვებამ თბილისელ მოჭიდავეს ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

მძიმე წონაშიც ორი ფავორიტი იყო. ესენი იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ა. მედვედი (მინსკი) და ა. ივანიცკი (მოსკოვი). მათ ყველა შეხვედრა მოიგეს, ერთმანეთთან კი ყაიმზე „შეთანხმდნენ". პირველობა მოსკოველს მიეკუთვნა, ვინაიდან მას ერთი შეხვედრით მეტი ჰქონდა. მესამე ადგილზე გამოვიდა კიშინიოველი ნ. მარკოვი. საინტერესოა, რომ ამ მოჭიდავის დამარცხებაზე ორივე ოლიმპიელმა დახარჯა საერთო ჯამში 85 წამი — მედვედმა 35 წამი, ივანიცკიმ კი — 50.

ამრიგად, დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის დასკვნითი ნაწილიც, ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოჭიდავეებმა. თბილისსა და ერევანში მოპოვებული 5 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი იმის მკაფიო ილუსტრაციაა, თუ რა მოწინავე პოზიციები უჭირავთ მათ სამამულო სპორტში. შემთხვევითი როდია, რომ სხვა სპორტსმენებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის 11 მოჭიდავე დასახელებულია საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატებად. ესენი არიან: ტ. ალიბეგაშვილი, ს. ქარსაულიძე, ზ. ბერიაშვილი, ნ. ხოხაშვილი, მ. გოგავა, გ. სალარაძე, ა. ცხოვრებოვი, რ. მძევარიანი, შ. ლომიძე, ნ. ანთიძე და თ. ხითარიშვილი.

17 სექტემბერს კაუნასში იწყება საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. იმედია, რომ საქართველოს მოჭიდავეები ამ შეჯიბრებაში წარმატებით განაგრძობენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისაგან მიღებულ ესტაფეტას.

ი. ბერიძე.

* * *

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ალიევი, ზ. ბერიაშვილი, ბ. გურევიჩი, ა. ივანიცკი.









## შეხვედრა მცხეთის კულტურის სახლში

მცხეთის კულტურის სახლში რაიონის მშრომელებმა ამ დღეებში შეხვედრა მოუწყეს კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილს. საღამო გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ნ. გავაშელმა.

კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა პროფესორმა პავლე ხუჭუამ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მცხეთის მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებული ლალი რევია და პედაგოგი მანანა ქექელიძე. რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მცხეთის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ვალერიან მამუკელაშვილმა. ყვავილების ლამაზი თაიგული სანდრო მირიანაშვილს გადასცა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხცოვანმა მეხალემ მიხეილ მამულაშვილმა.

დასასრულ საქართველოს ფილარმონიის, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოსა და ადგილობრივი თვითმოქმედების ძალებით გაიმართა კონცერტი.

გ. ხუტაშვილი.

# პოლონელი კომპოზიტორი და ქართული მუსიკა

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი და ვარშავის ფილარმონიის გუნდის დირიჟორი ანტონი შალინსკი. მან მოისურვა მოესმინა ქართული ხალხური მუსიკა, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები. ამ მიზნით ა. შალინსკი ჩამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტში მან მოისმინა ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გ. ჩხიკვაძემ სტუმარს მოასმენინა მდიდარი პოლიფონიური მრავალფეროვანი ქართული ხალხური მუსიკა.

— გამაოცა ამ სიმღერებმა, — თქვა ანტონი შალინსკიმ. თქვენი ხალხური მუსიკა მოწმობს ქართველი ხალხის კულტურის სიძველესა და სიმდიდრეს. შესანიშნავია ყველა ნაწარმოები, რომელიც მოვისმინე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სიმღერები ხალხმა შექმნა და მათ არაპროფესიონალი მომღერლები ასრულებენ.

პოლონელი კომპოზიტორი გაეცნო აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების საგუნდო ნაწარმოებთა ჩანაწერებს. მან თქვა, ზოგიერთ მათგანს ვარშავის ფილარმონიის გუნდის რეპერტუარში შევიტანო.

11 სექტემბერს ანტონი შალინსკი პროფესორ გ. ჩხიკვაძესთან ერთად სვანეთში გაემგზავრა, სადაც გაეცნობა სვანურ ხალხურ მუსიკას.

პოლონელი კომპოზიტორი საქართველოში 18 სექტემბრამდე დარჩა. (საქინფორმი).

## „ნაკადულის" კონკურსი

საუკეთესო საბავშვო მხატვრულ (პროზაულ) ნაწარმოებზე გამომცემლობა „ნაკადულის" კონკურსის ვადა გრძელდება 1965 წლის 1 ოქტომბრამდე. შედეგები გამოცხადდება 1965 წლის 31 ოქტომბერს.

## შემთხვევა ოკეანეში

# ასე გადარჩა სიცოცხლე

25 აგვისტო. სამხრეთი აფრიკა. ღამის 2 საათია. ზღვაზე 6 ბალი ღელვაა. ვახტზეა რაციის უფროსი ანატოლი პოპოვი. ეთერში გაისმის გამოძახების სიგნალები: „ყველა გემს". რეფრიჟერატორული ფლოტის ნოვოროსიისკის სამმართველოს თევზსაჭერ-საყინავი ტრაულერი „სარიჩი" იუწყება, რომ მესამე მექანიკოსი ლომაკინი მძიმე მდგომარეობაშია.

2 საათსა და 10 წუთზე გაიმართა რეწვაზე მყოფი ყველა გემის ექიმების სასწრაფო კონსულტაცია ეთერის მეშვეობით. დაუსწრებლად დიაგნოზის დასმა შეუძლებელი აღმოჩნდა. ექიმთა კონსულტაციამ გადაწყვიტა ტრაულერ „სარიჩზე" სასწრაფოდ გადაზვანილიყო გამოცდილი ქირურგი. წამის დაყოვნება არ შეიძლებოდა. ქარიშხლის ძნელ პირობებში ტრაულერმა „სარიჩმა" პელენგი აიღო და მთელი ავარიული სიჩქარით გაემართა თევზსაჭერ-საყინავ ტრაულერ „თბილისისაკენ". ტრაულერ „თბილისის" კაპიტანმა გიორგი სვანიძემ განკარგულება გასცა შეეწყვიტათ რეწვა და მთელი სისწრაფით წასულიყვნენ „სარიჩისაკენ" ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. დილის 4 საათზე ტრაულერები „სარიჩი" და „თბილისი" ერთმანეთს შეხვდნენ გაშლილ ოკეანეში. უამინდობა გრძელდებოდა. დიდი გაჭირვებით ჩაუშვეს ნავი და ძნელ საზღვაო პირობებში გემის ექიმი აკაკი იოსების-ძე ხიდეშელი, საშველად საჭირო ყველა საშუალებით აღჭურვილი, გადავიდა ტრაულერ „სარიჩზე". ტრაულერ „თბილისის" ეკიპაჟი მღელვარებით ელოდა ექიმის გადაწყვეტილებას. ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ექიმმა ხიდეშელმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეკეთებინა ოპერაცია მესამე მექანიკოს ლომაკინისათვის.

ოპერაცია ერთ საათს გაგრძელდა. ავადმყოფს განგრენოზული პერფორაციული აპენდიციტი აღმოაჩნდა. ქარიშხლის ძნელ პირობებში ოპერაცია რთული აღმოჩნდა, ზვირთები გემს ძლიერ აქანავებდნენ. ოპერაციამ მშვიდობით ჩაიარა. ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს. ტრაულერ „სარიჩის" ეკიპაჟი გულითად მადლობას უძღვნის ტრაულერ „თბილისის" ადმინისტრაციასა და პირადად გემის ექიმს აკაკი ხიდეშელს ავადმყოფისათვის დახმარების აღმოჩენის გამო.

27 აგვისტოს ნოვოროსიისკიდან მივიღეთ შემდეგი შინაარსის რადიოგრამა: „თევზსაჭერ-საყინავი ტრაულერი „თბილისი". კაპიტან-დირექტორს გ. ნ. სვანიძეს და გემის ექიმს ა. ი. ხიდეშელს. გულითადი მადლობა ტრაულერ „სარიჩის" მესამე მექანიკოს ლომაკინისათვის დახმარების აღმოჩენის გამო. მოგილოცავთ ოკეანეში წარმატებით ჩატარებულ ოპერაციას. გისურვებთ წარმატებებსა და ჯანმრთელობას.

სამმართველოს უფროსი პიჩკო.

პარტორგანიზაციის მდივანი ტოლიჩენკო.

ადგილკომის თავმჯდომარე ბოგდანოვი".

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი აკაკი იოსების-ძე ხიდეშელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ტრაულერ „თბილისის" ეკიპაჟში.

ა. ანთიძე,

თევზსაჭერ-საყინავ ტრაულერ „თბილისის" კაპიტანის პირველი თანაშემწე.

# ბ. პოლულიახი — სსრ კავშირის ჩემპიონი

დაძაბული და საინტერესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში.

ქალთა შორის როგორც კოშკურიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედლები მოსკოველებმა მოიპოვეს. კოშკურიდან ხტომაში ჩემპიონი გახდა ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გალინა ალექსეევა, ტრამპლინზე უძლიერესი იყო ელენე ანოხინა.

კოშკურიდან ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ერევნელმა სერჟ კოჩარიანმა.



ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა ბორის პოლულიახმა. მისი შედეგი — 172,79 ქულა ყველაზე მაღალია უკანასკნელ წლებში ნაჩვენებ შედეგებში. ბ. პოლულიახი ზედიზედ მეორედ გახდა ოქროს მედლის მფლობელი.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ბ. პოლულიახი 1939 წელს არის დაბადებული. 1956 წელს მან სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის. 1961 წელს პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. 1963 წელს კი ევროპის თასი მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა: მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი ბ. პოლულიახი.

## მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და „ლოკომოტივი".

მატჩის შედეგია 1:0 „სპარტაკის" სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ეს თასის მფლობელის პირველი გამარჯვებაა მეორე წრეში.

კომუნისტი — სპორტი

# ოქროს კვარტეტი

სან-სებასტიანი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ. ნ. კისელიოვი). ომარ ფხაკაძის შემდეგ „ანოეტის" ტრეკის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა საბჭოთა ქვეყნის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ვალენტინა სავინა, რომელმაც გუშინ საღამოს ფინალური ბრძოლა მოიგო სპრინტში. ველოსიპედისტთა ამ ჩემპიონატში ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ ვერ შეძლო ორი ოქროს მედლის მოპოვება.

სამი წლის ხანგამოშვების შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონმა 22 წლის ტულელმა სპორტსმენმა ვალენტინა სავინამ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ვერცხლის მედალიც ჩვენმა სპორტსმენმა მოსკოველმა გალინა ერმოლაევამ მოიპოვა.

სან-სებასტიანი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ველომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო დღეს სსრ კავშირის გუნდმა ს. მოსკვინის, ს. ტერეშჩენკოვის, მ. კოლუშევისა და ლ. ვუკოლოვის შემადგენლობით მოიპოვა ოქროს მედლები გამოდევნებით რბოლაში და გაუსწრო იტალიის გუნდს ფინალში. მესამე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელი ველომრბოლები.

## რ. ფიშერის პირველი დამარცხება

ჰავანა, 13 სექტემბერი. (საქდესი). ტელეგრაფმა ნიუ-იორკიდან პირველად მოიტანა კუბის დედაქალაქში მოკლე ცნობა „გნებდები", რომელსაც ხელს აწერდა კაპაბლანკას ხსოვნის საჭადრაკო ტურნირის დაუსწრებელი მონაწილე ამერიკელი გროსმაისტერი რ. ფიშერი.

ეს მოხდა კვირა დილით ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონისა და იუგოსლავი გროსმაისტერის ბ. ივკოვის შეხვედრის მეათე ტურის გადადებული პარტიის დამთავრებისას. 25 წუთს ელოდებოდა ივკოვი ფიშერს, რომელმაც სვლაზე დააგვიანა. მას შემდეგ, რაც ამერიკელის სეკუნდანტმა ჰავანაში ხოსე რაულ კაპაბლანკამ (შვილმა) გახსნა კონვერტი, რომელშიც წინა დღეს ჩაწერილი შავების (ივკოვი) 41-ე სვლა იყო, მეტოქეებმა 12 სვლა გააკეთეს. იუგოსლავმა გროსმაისტერმა გონებამახვილური მანევრით კუ მოიგო პაიკში და 54-ე სვლაზე ფიშერი დანებდა. სხვათა შორის, ეს ივკოვის მეორე გამარჯვებაა ფიშერზე.

კვირა საღამოს მე-12 ტურში ვ. სმისლოვმა მოუგო ჰ. ლემანს (გფრ), რ. ფიშერმა ი. ბილეკს (უნგრეთი), ე. გელერმა — ბ. პარმასს (იუგოსლავია), ბ. ივკოვ-ე. კობოს (კუბა) გადადებულ პარტიაში გაიმარჯვა იუგოსლაველმა.

თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერია იუგოსლაველი გროსმაისტერი ბ. ივკოვი, მას 10 ქულა აქვს, 9,5 ქულით მეორე ადგილზე ვ. სმისლოვია, რ. ფიშერს 9 ქულა აქვს.

◆

## მოსწავლის რეკორდი

ჰააგა, 12 სექტემბერი. (საქდესი). ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა სევასტოპოლელმა 16 წლის მოსწავლემ გალინა პროზუმენშჩიკოვამ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ბრასით ცურვაში. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში გამართულ შეჯიბრებაში მან 200 მეტრი გასცურა 2 წუთსა და 45,8 წამში და 0,1 წამით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი.

## თასი საბჭოთა მძლეოსნებს

შტუტგარტი, 13 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ. ბ. ბუხოვცევი): გადაწყდა ევროპის თასის ბედი მძლეოსნობაში ვაჟთა გუნდებისათვის. გუშინ, უკანასკნელად ნახეს იგი შტუტგარტის „ნეკარის" სტადიონზე მაყურებლებმა საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტნის პეტრე ბოლოტნიკოვის ხელში.

ძალზე ძნელი იყო თასისათვის ბრძოლა და საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს დიდი ოსტატობა, შეუპოვრობა, ნამდვილი მებრძოლური ტემპერამენტი. ჩვენმა სპორტსმენებმა მეტოქეები — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსნები დაამარცხეს მხოლოდ ერთი ქულის განსხვავებით. ჩვენებმა 86 ქულა მოიპოვეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა კი 85 ქულა დააგროვა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ პოლონელები — 69 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდები.

◆

## დღეს სტადიონებზე

დღეს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართება ექვსი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებისათვის. როსტოვში ერთმანეთს ადგილობრივი და მოსკოველი არმიელები შეხვდებიან. ტაშკენტში ითამაშებენ „პახტაკორი" და ოდესის სკა. მინსკის „დინამო" მიიღებს ბაქოს „ნეფტიანიკს", კიევის „დინამო" კი — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს".

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ძნელი მატჩები ექნებათ. ქუთაისელები მოსკოვში ადგილობრივ „დინამოს" შეხვდებიან. თბილისის დინამოელები კი შვეციიდან პირდაპირ ლენინგრადს გაემგზავრნენ და იქ ითამაშებენ „ზენიტის" წინააღმდეგ. პირველ წრეში სწორედ „ზენიტმა" აგემა თბილისელებს პირველი დამარცხება (2:1). შესძლებენ თუ არა ჩემპიონები რევანშის აღებას?

ამ მატჩის მეორე ნახევრის რეპორტაჟი დაიწყება 19 საათზე, თბილისის დროით.

რედაქტორი
დ. მეძღლიშვილი.


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

◆

### თეატრები

14 სექტემბერი

რიგის რუსული დრამატული თეატრის გასტროლები (გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში) — ვესტსაიდის ისტორია, რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა (მე-17 და გაცდენილი აბონემენტები), მარჯანიშვილის სახელობის — მკვდრის მზე (მე-12 აბონ. მე-6 წარმოდგენა).

### ტელევიზია

14 სექტემბერი

11.00 — ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს (გადაცემა პირველი), 12.20 — დოკუმენტური ფილმი, 12.20 — მხატვრული ფილმი „მშვიდობიანი დრო", 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.50 — უფროსკლასელთათვის — „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება", 18.15 — ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს (გადაცემა პირველი), 18.35 — „სიმართლე რელიგიის შესახებ" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 19.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის „რენტაბელობის გზით", 20.00 — კინონარკვევი, 20.30 — „მსოფლიო დღეს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — კინონარკვევი, 21.20 — კონცერტი ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 21.35 — ახალი ამბები, 21.50 — მხატვრული ფილმი „მშვიდობიანი დრო".

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო

აცხადებს საქართველოს სსრ ყველა დაწესებულების, მშენებლობისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან მოეწყობა მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა წლიური ინვენტარიზაცია, რის გამო:

ლითონმომარაგება-გასაღების;

ელექტრო და რადიოტექნიკის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

ხატყეო და ქაღალდის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

კვების მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების,

ქიმიური მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

სამშენ მასალათა მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

მანქანათმშენებლობის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების;

ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოებში, აგრეთვე ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორის, აჭარისა და აფხაზეთის სარაიონთაშორისო მომარაგების ბაზების საწყობებსა და ბაზებში აღწერასთან დაკავშირებით აღნიშნულ ორგანიზაციებში დროებით შეწყდება ყოველგვარი ოპერაციები.

დაწესებულებების, მშენებლობისა და ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ინვენტარიზაციის პერიოდში საჭიროა 1965 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოთ აღნიშნული საწყობებიდან და ბაზებიდან მასალების, მოწყობილობისა და კომპლექტაციის ნაწარმის 1965 წლის ფონდების ანგარიშში მიღება საჭირო რაოდენობით.

## 25 სექტემბერს ქ. ლაგოდეხში

### გაიმართება საქართველოს სსრ 1965 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მეცხრე გამოშვების) მოგებათა ტირაჟი

ტირაჟში გათამაშდება 187.500 მანეთის 112.500 ფულისა და ნივთების მოგება.

მოგებათა შორის არის ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი" და „ზაპოროჟეცი", პიანინოები, საგზურები საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობისათვის, მაცივრები, ტელევიზორები და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი და ფულადი მოგება.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები!

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამატებით აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1965 წლისათვის

წარმოებისაგან მოწყვეტით—სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის სპეციალობით, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ — მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სპეციალობით. ასპირანტურაში მიღების პირობები გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 26 აგვისტოს ნომერში.

## ლენინის ორდენოსანი საკავშირო ფიზკულტურულ-სასპორტო საზოგადოების „დინამოს" ცენტრალური საბჭო

## სპორტის სასახლე

14-15-16 სექტემბერი 1965 წ.

საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში

მონაწილეობენ:

„გვარდია" — პოლონეთი.
„დინამო" — გდრ
„დოჟა" — უნგრეთი.
„რუდა გვეზდა" — ჩეხოსლოვაკია.
„სპარტაკი" — ბულგარეთი.
„დინამო" — რუმინეთი.
„დინამო" — სსრ კავშირი.

დასაწყისი: 14 და 15 სექტემბერს 10 საათზე და 17 საათზე. 16 სექტემბერს 18 საათზე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. მ. საპოჟნიკოვი.
ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.
ტელეფონები: 7-20-02, 7-20-54, 7-01-55.

## სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად

## საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

იღებს დასაცავად საკანდიდატო დისერტაციებს:

ა) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ სპეციალობებში: საკვებწარმოება, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენებლობა, კერძო ზოოტექნიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია და დაგეგმარება (მეცხოველეობის გახრით);

ბ) ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ სპეციალობებში: ცხოველთა პათოლოგია და თერაპია, ეპიზოოტოლოგია, ვეტერინარული ფარმაკოლოგია ტოქსიკოლოგიით, პარაზიტოლოგია, ჰელმინთოლოგია, ვეტერინარული მორფოლოგია;

გ) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად: ემბრიოლოგიისა და ჰისტოლოგიის სპეციალობით.

აღნიშნულ სპეციალობებში დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ ინსტიტუტის რექტორატს. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 13.



კომუნისტი. თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61. პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-98-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 — უე — 12264

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.